ეწვიეთ ვებ-გვერდს და იხილეთ ახალი ამბები
1 თებერვალი, 2016 N10

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ორენოვანი გაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL NEWSPAPER IN GEORGIA

ნიდერლანდების ელჩი საქართველოში: საჭიროა ბევრი მოძველებულ ტრადიციაზე გადაბიჯება

EXCLUSIVE გვ. 3

ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები ფორმალური ხასიათისაა, საქმე მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი ტექსტი არაა, ეს ცვლილებები კარგად გააზრებული უნდა იყოს ხალხის მიერ და შესაბამისად, აისახოს მოქალაქეებზე. საჭიროა ბევრ მოძველებულ ტრადიციას, ცრურწმენასა და ზოგჯერ, მყარად დამკვიდრებულ აზრს გადაბიჯება. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომელშიც მთავარი ხალხთან ურთიერთობაა. ჩვენ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად ერთ-ერთი პროგრამა განვახორციელეთ, რომელიც გულისხმობდა ოფიციალური პირების ინფორმირებას ევროპის მნიშვნელობაზე.

საქართველოში პროექტების განსახორციელებლად პოლონეთის მთავრობამ 1 მილიონი ევრო გამოყო

EXCLUSIVE გვ. 4

უნდა აღვნიშნო პოლონეთის მხარდაჭერა ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარებაში. თავის დროზე, ჩვენ ასეთ მხარდაჭერას ნიდერლანდებისგან ვიღებდით. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ კი დახმარება შევთავაზეთ მაკედონიასა და საქართველოს. ის პირველია აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, რომელთანაც ჩვენ თანასწორ დონეზე თანამშრომლობა გვსურს, რაც გულისხმობს პოლონეთის მხრიდან სრულ მხარდაჭერასა და ევროინტეგრაციის პროცესში გამოცდილების გაზიარებას. რაც ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა მიმდინარეობს ყველა საფეხურზე.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალი პრეზიდენტი - რა კონტექსტში ახსენა პედრო აგრამუნტმა საქართველო გვ. 5

ჰააგის საერთაშორისო სასამართლო აგვისტოს ომის დანაშაულებს გამოიძიებს გვ. 7

ნატო-ს 2015 წლის იმედისმომცემი ანგარიში გვ. 8

"ტიფლის ჰალასი" 2016 წლის მოგზაურთა რჩეული სასტუმრო გახდა EXCLUSIVE გვ. 10

დაზოგილი ფინანსები თუ პირადი შური - რატომ დაითხოვეს ეროვნული ბანკის მთავარი მრჩეველი? გვ. 18

შპს «აი-თი-ჯი» - მეტეხის ქ. 16, 0103, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995) 599 555 634; საიტი: WWW.ITG.GE

ქართველი სამხედროების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა ისევ გაგრძელდება

ქართველი სამხედროების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის გაგრძელების მიზნით კონსულტაციები პარტნიორ ქვეყნებთან გაიმართება, -ამის შესახებ დღეს უშიშროების საბჭოს შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

საბჭოს სხდომაზე ძირითადად ორი საკითხი იყო განხილული: მზადება ნატო-ს ვარშავის სამიტისთვის და საქართველოს საერთაშორისო სამხედრო მისიები.

„საუბარი იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებაზე, ნატოსთან უფრო ღრმა ინტეგრაციის გზით. ასევე, ვისაუბრეთ ავღანეთში, გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობის კუთხით შემდგომ თანამშრომლობაზე",- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ბევრი საამაყო ინფორმაცია მიიღო საერთაშორისო მისიებში მონაწილე ქართველ ჯარისკაცებზე.

მისივე თქმით, სხდომაზე საუბარი არ ყოფილა ცენტრალურ აფრიკაში ქართველ მშვიდობის-დამცველებზე, რომლებიც გაერო-ს კომისრის განცხადებით, სექსუალურ ძალადობაში არიან ბრალდებულები.

"საქსტატი": მთლიანი შიდა პროდუქტი 2015 წელს 2,8%-ით გაიზარდა

"საქსტატის" ინფორმაციით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2015 წლის დეკემბერში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 0,3 პროცენტი, ხოლო 2015 წლის IV კვარტალში 2,9 პროცენტი შეადგინა.

მთლიანობაში კი, წინასწარი მონაცემებით 2015 წელს მშპ 2,8%-ით არის გაზრდილი.

"2012 წლის იანვრიდან საქსტატი აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგ. სოფლის მეურნეობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, რეალური კვარტალური გაანგარიშებები შესაძლოა განსხვავდებოდეს წინასწარი შეფასებისგან",-განმარტავენ დაწესებულებაში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, შესაძლოა მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც გამოიწვევს რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც.



საქართველო საჯარო ადმინისტრირების რეფორმის კუთხით რეგიონში ლიდერია

ევროკავშირი საქართველოში განხორციელებულ საჯარო ადმინისტრირების რეფორმას დადებითად აფასებს,- ამის შესახებ დღეს გამართულ რეგიონულ კონფერენციაზე აღინიშნა.

შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ საქართველო საჯარო ადმინისტრირების რეფორმის კუთხით რეგიონში ლიდერია.

კონფერენციის ფარგლებში, რომლის თემაა „საჯარო სამსახურის რეფორმა: საჯარო სამსახურის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება და მისი იმპლემენტაცია", განხილული იქნება საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესი, საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების საჭიროება და მისი იმპლემენტაცია, ასევე – უცხო ქვეყნების გამოცდილება.

ღონისძიებაში სამინისტროებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები და საერთაშორისო ექსპერტები მონაწილეობენ.

ნიდერლანდების ელჩი საქართველოში: საჭიროა ბევრ მოძველებული ტრადიციაზე გადაბიჯება

ანა ზანტარიანი

EXCLUSIVE

ევროკავშირის პრეზიდენტობა წელს უკვე მეთორმეტედ ნიდერლანდების სამეფომ ექვსი თვით ჩაიბარა. არსებობს მოლოდინები, რომ ეს ცვლილება გარკვეულწილად დადებითად აისახება ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომრეობაზე. ნიდერლანდებს ოთხი პრიორიტეტული სფერო აქვს, რომელთაგან პირველი მიგრაციას და საერთაშორისო უსაფრთხოებას ეხება, დანარჩენი სამი კი დასაქმებას, ენერგეტიკასა და ევროზონის გაძლიერებას. როგორ აისახება აღნიშნული სიახლე საქართველოზე და რა გეგმები აქვს ნიდერლანდების საელჩოს საქართველოში - ამ საკითხებზე „ობზერვერი“ ნიდერლანდების ახალ ელჩს იოს დაუმას ესაუბრა, რომელიც უკვე ოთხი თვეა მეუღლესთან ერთად საქართველოში იმყოფება და აქტიურად ეწევა თავის დიპლომატიურ საქმიანობას.

ნიდერლანდების სამეფო იქნება ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა 1 იანვრიდან 30 ივნისამდე. როგორ გავლენას მოახდენს ეს საქართველოზე?

ნიდერლანდების ევროსაბჭოს თავმჯდომარეობის მიმართება საქართველოსთვის საკმაოდ ვიწროა. ჩვენ მიერ ბრუსელში ჩატარებული შეხვედრები ძალიან მკაცრად განსაზღვრული და ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა. წევრი ქვეყნებიდან სხვადასხვა თანამდებობის პირებსა და სტუმრებს ჩვენს ქვეყანაში ვმასპინძლობთ, სადაც ევროპულ ინტეგრაციასა და ზოგადად, ევროკავშირის განვითარებაზე ვმსჯელობთ. ნიდერლანდების თავმჯდომარეობის პერიოდში განვიხილავთ საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის საკითხს. ეს ანგარიშები განაცხადის შესატანად დეკემბრის ბოლოს მომზადდა, რის შემდეგაც, გადაწყვეტილებას მიიღებს მინისტრთა საბჭო და ხმას მისცემს ევროპარლამენტი. აღნიშნულ პროცესში აქტიურად ვართ ჩართულები, თუმცა ჩვენი როლი მეტწილად ტექნიკურია. ევროკავშირის იდეების ქართულ საზოგადოებისთვის მიწოდებასაც ვცდილობთ.

ჰოლანდიელი ევროპარლამენტის წევრების აზრით, ნიდერლანდები, ევროკავშირის პრეზიდენტობის პერიოდში, წევრი ქვეყნების ყურადღებას მიმართავს საერთო ინტერესებსა და ღირებულებებზე. საქართველო არაა ევროკავშირის წევრი, მაგრამ რა არის ის ღირებულებები, რაც უნდა მიიღოს ქვეყანამ, განსაკუთრებით ანტიდისკრიმინაციული საკითხების მხრივ?

სამუშაოს უმეტესი ნაწილი ევროკავშირის დელეგაციის მიერაა შესრულებული, რომლებიც ჩვენთან მუდმივ ინტერაქციაში არიან. ძალიან დეტალური ანგარიში მომზადდა ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ. საუბარი მიდის ანტიდისკრიმინაციაზეც, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია. ევროკავშირის ყველა სხვა წევრი ქვეყნის მსგავსად, ჩვენი საელჩო თანამშრომლობს მთავრობასა და საზოგადოებასთან, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოებასთან. გვინდა, წინ წამოვწიოთ ევროპული ღირებულებების საკითხი, მათ შორის, ანტიდისკრიმინაციის პრობლემაც. მართალია საქართველომ გამოიარა გრძელი გზა და დიდ პროგრესსაც მიაღწია, მაგრამ აქცენტი უნდა გაკეთდეს ღირებულებების დანერგვაზე. ეს უნდა იყოს გააზრებული და აისახებოდეს მოქალაქეებისა და ხელისუფლების ქმედებებში.

როგორ შეაფასებდით საქართველოს გზას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, რამდენად წარმატებული და შესამჩნევია ის რეფორმები, რაც გატარდა ქვეყანაში და რაში ხედავთ გაუმჯობესების აუცილებლობას?

ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები ფორმალური ხასიათისაა, საქმე მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი ტექსტი არაა, ეს ცვლილებები კარგად გააზრებული უნდა იყოს ხალხის მიერ და შესაბამისად, აისახოს მოქალაქეებზე. საჭიროა ბევრ მოძველებულ ტრადიციას, ცრურწმენასა და ზოგჯერ, მყარად დამკვიდრებულ აზრს გადაბიჯება. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომელშიც მთავარი ხალხთან ურთიერთობაა. ჩვენ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად ერთ-ერთი პროგრამა განვახორციელეთ, რომელიც გულისხმობდა საქართველოს საეკლესიო და ოფიციალური პირების ინფორმირებას ევროპის მნიშვნელობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველას ჩვენი აზრები და შეხედულებები გვაქვს, რაც შესაძლოა რეალობას არ ემთხვეოდეს. ჩემთვის განსაცვიფრებელი იყო თუ როგორი გადატრიალება მოახდინა ამ კონფერენციამ, „ეს არის ნამდვილი ევროპული ღირებულებები“, „მე არასოდეს შემიხედავს ამ კუთხით“, - ასეთი შეფასებები მესმოდა და ამის გააზრება ძალიან მნიშვნელოვანია. მე შევესწარი, რომ მათ დაინახეს ნამდვილი ევროპული ღირებულებები.

ჩვენ გვსურს საქართველოს ჭეშმარიტი ევროპული ფასეულობები გავუზიაროთ. ქვეყნის მთავრობასთან თანამშრომლობით გვინდა, რომ სააქართველომ და ქართველებმა მიიღონ განსხვავებული აზრის, რელიგიის, ეთნიკურობისა და ორიენტაციის მქონე ადამიანები. ეს ყველაფერი დიდ დროს მოითხოვს. მხოლოდ ფურცელზე ხელის მოწერა საკმარისი არ არის, ეს ხალხის გულებშიც უნდა აღიბეჭდოს.

თქვენ აქტიურად უჭერთ მხარს საქართელოსა და ნიდერლანდებს შორის სავაჭრო ურთიერთბას. რა სფეროებში თანამშრომლობენ ქართული და ჰოლანდიური კომპანიები და რა არის თქვენი სამომავლო ვალდებულებები ამ მხრივ?

საქართველოს ბაზარი ძალიან პატარაა, მაგრამ საინტერესო და გამოწვევებით აღსავსეა. ერთი მხრივ, არსებობს ჰოლანდიური ექსპორტი, მეორე მხრივ კი - ჰოლანდიური ინვესტიციების რაოდენობა. უახლესი მონაცემებით, 2014 წელს ჰოლანდია ერთ-ერთი

პირველი იყო საქართველოში ინვესტიციების განხორციელების კუთხით, რომელიც 330 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა. თუ უფრო ღრმად გამოიკვლევთ საკითხს, ნახავთ, რომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ სოფლის მეურნეობის, უძრავი ქონებისა და საცალო გაყიდვების დარგებში. მართალია, საქართველოში ბევრი ჰოლანდიური კომპანია არაა, მაგრამ არსებული კომპანიების საქმიანობა საკმაოდ შესამჩნევია.

კონკრეტულად, რას გულისხმობთ ჰოლანდიურ ბიზნესში?

მაგალითად, სავაჭრო ცენტრები. ახლადგახსნილი სავაჭრო ცენტრი „ისანი“ ჰოლანდიური ნოუ-ჰაუს საფუძველზე შეიქმნა და მასში ფრანგულ - ჰოლანდიური ინვესტიციაა ჩადებული. ასევე, მაღაზიათა ქსელი „სპარი“ ჰოლანდიურ კოოპერატივს წარმოადგენს, რომელსაც თავისი გადამზადების კონცეფცია აქვს. როგორი უნდა იყოს კლიენტთან მიდგომა, როგორ უნდა მიიზიდოთ მომხმარებელი, როგორ მოემსახუროთ მათ, - ეს ყველაფერი გათვალისწინებულია აღნიშნული კონცეფციით. ჰოლანდიური ინვესტიციების ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ელემენტს ჰოლანდიის განვითარების ბანკი (FMO) წარმოადგენს, რომელსაც კავშირი აქვს ქართულ თიბისი ბანკთან. ჰოლანდიელი ინვესტორებისთვის საქართველო საინტერესო ქვეყანაა, მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები კი, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანია.

ქართველი სპორტსმენები და ხელოვანები ხშირად ჩნდებიან ჰოლანდიურ მედიაში. რას ფიქრობთ, რა არის ამისი მიზეზი და როგორ აღწერდით კულტურულ და სპორტულ ურთიერთობებს ორ ქვეყანას შორის?

ვშიშობ, ბევრმა ჰოლანდიელმა არ იცის სპორტსმენებისა და ხელოვანების ქართული წარმომავლობის შესახებ. მათთვის ისინი უბრალოდ კარგი ფეხბურთელები, ნიჭიერი მსახიობები და მოჭადრაკეები არიან. ნიდერლანდების ერთ-ერთი საფეხბურთო გუნდ „ვიტესში“ ორი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. ჩვენ გვყავს შესანიშნავი მოჭადრაკე წყვილიც, სოფიკო გურამიშვილი და მისი მეუღლე ჭადრაკის დიდოსტატი ანიშ გირი. ისინი პერსპექტიული მოჭადრაკეები არიან, რომლებსაც საკუთარ სამშობლოშიც კი არ იცნობენ. ჰოლანდიურ სპორტსა და ხელოვნებაში ბევრი ქართველია, აღსანიშნავია ქეთი როინიშვილი-ერთ-ერთი მუსუკალური კონკურსის გამარჯვებული, მარიამ ბატაშვილი და ნინო გვეტაძე. ფილმის პროდიუსერი ზაზა მაღალაშვილი ნიდერლანდებში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, მისი სამშობლო კი საქართველოა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ნიდრლანდების სამეფოსა და საქართველოს შორის ახლო კულტურული კავშირია?

არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია ამისი თქმა სახელმწიფოებზე თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართველები და ჰოლანდიელები თანდათანობით ახლოვდებიან. ელჩად დანიშვნამდე მე და ჩემი მეუღლე ვესაუბრეთ ჰოლანდიელ ხალხს. ისინი საქართველოს მიმართ პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი და მის შესახებ უფრო მეტის გაგება სურდათ. ეს არაა ძალიან ცნობილი ქვეყანა, მაგრამ მას აქვს რაღაც მიმზიდველი ნაპერწკალი.

საელჩო საკმაოდ აქტიურად მუშაობს სოციალური მედიის კუთხით. ფიქრობთ თუ არა, რომ საელჩოებმა უნდა გამოიყენონ ინოვაციური საშუალებები ორი ქვეყნისა და ერის უფრო მეტად დაახლოებისთვის?

მე ნამდვილად მწამს ასეთი დიპლომატიის. ნიდერლანდების საელჩო ჩემს მოსვლამდეც აქტიურად მუშაობდა სოციალური მედიის კუთხით, განსაკუთრებით კი, “Facebook”-ზე. როდესაც საელჩოს გვერდის 10 000 მოწონება შევაგროვეთ, ჩვენ მათ შეფასებებიც ვთხოვეთ. ხალხს მოსწონს საელჩოსთან ინტერაქტიული ურთიერთბა, რის შესაძლებლობასაც ონლაინ ქსელები, ვირტუალური კავშირები გვაძლევენ. საელჩო არაა მხოლოდ განცალკევებულად მდგარი შენობა. ჩვენ უნდა ვიყოთ ღია და ვესაუბროთ ხალხს, ვიყოთ საზოგადოების ცენტრში. ასევე გვაქვს საელჩოს ვებ-გვერდი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში ძირითად ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს. მესამე იარაღია „ტვიტერი“, მისი მეშვეობით ურთიერთობა მაქვს პოლიტიკოსებსა თუ ექსპერტებთან საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ეს ასევე კარგი საშუალებაა იდეების, განვითარებული მოვლენებისა და შეხედულებების გასაზიარებლად. ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარობის პერიოდში, მე ვეცდები ქართველი აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირის საკითხებთან დაკავშირებით. საელჩო უკვე დიდი ხანია რაც ამ პოლიტიკას ატარებს და ვფიქრობ, რომ მსგავსი ტიპის ინტერაქტიული ურთიერთობა ხალხის ერთმანეთთან დაახლოებას უწყობს ხელს. ამას განსაკუთრებით საელჩოს „ფეისბუქის“ გვერდის მეშვეობით ვამჩნევთ.

ჰოლანდიელი, ქართველი და ხშირად სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც, თავიანთ მოწონებას აფიქსირებენ საელჩოს მიერ განხორციელებულ აქტივობებზე. რასაკვირველია, დიპლომატია ხელს უწყობს ამ ორი ერის დაახლოებას.

უკვე მესამე წელია, რაც ჰოლანდიელი პირველი ლედი აღარ გვყავს, თუმცა ის ისევ საქართველოში ცხოვრობს. გაქვთ, თუ არა ურთიერთობა სანდრა რულოვსთან და როგორ განსაზღვრავდით მის როლს საქართველოსა და ნიდერლანდების ურთიერთობებში?

ის მართლაც სასარგებლო საქმეს აკეთებდა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნის პირველი ლედი იყო. სანდრა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ეცნობოდა საქართველოს და ამის შემდეგ შეხვდა მიხეილ საკაშვილს, ასე რომ, პირველად იყო საქართველო. დღესაც, მისი მეუღლე საქართველოში არაა, სანდრა კი ისევ აქ ცხოვრობს. ის როგორც ნიდერლანდების, ასევე საქართველოს მოქალაქეა და ამ ქვეყნის შესახებ ბევრ ინფორმაციას ავრცელებს, რადგან ორი სახელმწიფოს ინტერაქციის გენერირებას ახდენს. სანდრა ყოველთვის იყო და არის შესანიშნავი აგენტი ნიდერლანდებისთვის საქართველოში და პირიქით, ნიდერლანდებში საქართველოსთვის.

საქართველოში პროექტების განსახორციელებლად პოლონეთის მთავრობამ 1 მილიონი ევრო გამოყო

თეიმურაზ შა

EXCLUSIVE

შვიდი წლის წინ პოლონეთმა და შვედეთმა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ინიცირება მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ეფექტიანობის პროცესი რთული და მტკივნეული იყო, რადგანაც რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს ეკვეთობოდა, მან შედეგად საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ორგანიზაციასთან დაახლოება მოიტანა.

საქართველოს პარტნიორების დახმარებით, რომელთა შორის პოლონეთის როლი ძალიან დიდია, ქვეყანამ შეძლო ევროატლანტიკური კურსის შენარჩუნება და ინტეგრაციის პროცესის გაგრძელება. სიმბოლურია ისიც, რომ საქართველო ნატო-ს წვერობის სამოქმედო გეგმის (MAP) მიღებას სწორედ ვარშავის სამიტიდან ელოდება. ამ თემებზე „ობზერვერი“ პოლონეთის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში ანდჟეი ჩიეშკოვსკის ესაუბრა.

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის გარშემო დღესაც ბევრი კრიტიკული თუ სკეპტიკური მოსაზრება არსებობს, მათ შორის ევროკავშირში. შვიდწლიანი არსებობის შემდეგ როგორ შეაფასებდით ამ პროგრამის წარმატებას?

აღმოსავლეთ პარტნიორობა, ეს პირველი პროგრამაა, რომლითაც ევროკავშირმა აღმოსავლეთ მეზობლებლებს ორგანიზაციასთან ურთიერთობის გაღრმავების კუთხით უფრო მეტი შესაძლებლობა შესთავაზა. აღნიშნული პლატფორმა ორმხირივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაძლიერების მიზნით შემუშავდა. ვფიქრობ, აღმოსავლეთ პარტნიორობა წარმატებული პლატფორმაა. ჩვენ ამას არ უნდა ვუყუროთ მხოლოდ გეო-პოლიტიკურ ჭრილში, არამედ უნდა განვიხილოთ ის შედეგები, რაც აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნების ჩართულობამ მოიტანა. ვგულისხმობ საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მაგალითს, რომლებმაც 2014 წლის ივნისში ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, ხოლო 2015 წლის დეკემბერში პოზიტიური ანგარიში მიიღეს ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. ევროკავშირის შესაძლებლობათა გამოყენების ძალიან კარგი მაგლითია.

წელს ნატო-ს სამიტი ვარშავაში ჩატარდება და საქართველო, როგორც წევრობის კანდიდატი სახელმწიფო, კვლავ ელოდება წევრობის სამოქმედო გეგმის მიღებას, როგორ ფიქრობთ, მოხდება თუ არა ეს წლევანდელ სამიტზე?

ჯერ ძალიან ადრეა პროგნოზების გაკეთება, რადგან სამიტამდე ნახევარი წელია და ალიანსის ფარგლებში ჯერ ისევ მოლაპარაკებები და კონსულტაციები მიმდინარეობს. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო, სულ მცირე, მიიღებს დასტურს, რომ გახდება ნატო-ს წევრი. ჩვენ შეიძლება გვქონდეს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის სხვა დამატებითი ინსტრუმენტები. გასულ სამიტზე შემუშავდა ნატო-ს არსებითი პაკეტი, რამაც ძალიან კარგად იმოქმედა პრაქტიკულ თანამშრომლობაზე, ახლა საჭიროა ფოკუსირება მოვახდინოთ ამ პაკეტის განხორციელებასა და ინტეგრაციის გაძლიერებაზე.

როგორ აფასებთ საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების დინამიკას?

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა ძალიან ინტენსიურია და ამ ორი ქვეყნის მმართველ პარტიებზე არაა დამოკიდებული. ჩვენ გვაქვს ძალიან სიღრმისეული დიალოგი თანამშრომლობის ყველა საფეხურზე. გასულ წელს შეხვედრა გაიმართა პრეზიდენტებსა და თავდაცვის მინისტრებს შორის. აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თავის პოლონელ კოლეგას სტუმრობდა. იგეგმება საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაც.

დამატებით უნდა აღვნიშნო პოლონეთის მხარდაჭერა ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარებაში. თავის დროზე, ჩვენ ასეთ მხარდაჭერას ნიდერლანდებისგან ვიღებდით. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ კი დახმარება შევთავაზეთ მაკედონიასა და საქართველოს. ის პირველია აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, რომელთანაც ჩვენ თანასწორ დონეზე თანამშრომლობა გვსურს, რაც გულისხმობს პოლონეთის მხრიდან სრულ მხარდაჭერასა და ევროინტეგრაციის პროცესში გამოცდილების გაზიარებას. რაც ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა მიმდინარეობს ყველა საფეხურზე - მინისტრების, მინისტრთა მოადგილეებსა და დირექტორებს შორის, რომლებიც არა მხოლოდ ორმხრივ ურთიერთობებს, არამედ ევროკავშირთან ურთიერთობებსაც განიხილავენ.

როგორ ხედავთ საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების მომავალს?

ჩვენ ვაფასებთ საქართველოს გადაწყვეტილებას გახდეს ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი ქვეყანა. ვფიქრობთ, ეს გონივრული გადაწყვეტილება და პოტენციურად ნაყოფიერი არჩევანია. ნატო-ში გაწევრიანება უზრუნველყოფს სტაბილურობას, ხოლო ევროინტეგრაცია საქართველოს უამრავ სარგებელს მოუტანს - დემოკრატიზაციას, ინსტიტუტების გაძლიერებას, ღია სავაჭრო ბაზარს, რომელიც 500 მილიონ მოსახლეს ითვლის. ეს არის ნამდვილი შესაძლებლობა საქართველოსთვის იყოს ევროკავშირის ეკონომიკური პარტნიორი და გამოიყენოს მისი ბაზარი ბარიერების გარეშე, რაც აღნიშნულია ღრმა და ყოვლისმომცველელ ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებაშიც.

ჩვენი ურთიერთობები კიდევ უფრო გაუმჯობესდება და ამისთვის დამატებითი ინსტრუმენტები გვაქვს. ახლახანს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პოლონეთი აგრძელებს თანამშრომლობას საქართველოსთან, როგორც პრიორიტეტულ სახელმწიფოსთან. წელს საქართველოში ვაპირებთ 20-ზე მეტი პროექტის განხორციელებას, რისთვისაც 1 მილიონ ევროზე მეტი თანხაა გამოყოფილი. პროექტები ძირითადად რეგიონებში განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ გვაქვს რეგიონური, მუნიციპალური და საქალაქო ორმხრივი ურთიერთობების პრაქტიკაც. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოდელი უზრუნველყოფს ურთიერთობების არსებობას არა მარტო სამთავრობო, არამედ საზოგადოებრივ დონეზეც, რადგან პოლონელებსა და ქართველებს ისტორიული მეგობრობა აკავშირებთ.

რა როლს ასრულებს პოლონურ დიასპორა საქართველოში?

პოლონური დიასპორა ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირებულია. არსებობს რამდენიმე აქტიური სათემო ორგანიზაცია. საქართველოში პოლონური თემი მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა, ხოლო მე-19 საუკუნეში პოლონელთა აჯანყებების შემდგომ ქვეყანაში ძალიან ბევრი პოლონელი ჩამოასახლეს, რამაც დიდი დიასპორა შექმნა. აღსანიშნავია, რომ ქართველ პოლონელებს შორის წარმოდგენილნი არიან მხატვრები, მწერლები, მოქანდაკეები. თავის მხრივ, პოლონურმა თემმაც გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს განვითარებაში. განსაკუთრებით ეს ეხება არქიტექტორებს, მათ მიერ შესრულებული პროექტები დღესაც წარმოდგენილია თბილისში, მაგალითად, რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, კონსერვატორია, და ბევრი სხვა. თბილისში ჩვენ გვაქვს ორი საკვირაო სკოლა და პოლონური ენის რამდენიმე ცენტრი სხვადასხვა უნივერსიტეტში. ჩვენ ვთანამშრომლობთ სათემო ორგანიზაციებთან თბილისში, ახალციხესა და ლაგოდეხში. ასევე გვაქვს ინფორმაცია აფხაზეთში არსებულ თემებზეც, თუმცა მათთან კომუნიკაცია მხოლოდ ელექტრონულად ხდება.

თუმცა მჯერა, რომ დადგება დრო და ჩვენ შევძლებთ მათთან ნორმალურ თანამშრომლობას.

რას ფიქრობთ კონფლიქტურ რეგიონებზე საქართველოსა და უკრაინაში?

პოლონეთი გმობს რუსეთის უკანონო ქმედებებს მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. ჩვენ ვდგავართ უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარეს და არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს ეს წესი. მე მართლა მჯერა, რომ მოვა დრო, როცა დიპლომატიური გზით მოხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების საქართველოსთან რეინტეგრაცია, ისევე, როგორც დონბასისა და ყირიმის ტერიტორიების დაბრუნება უკრაინაში.

ევროკავშირის ამჟამინდელი კრიზისის დროს რა არის უმთავრესი გამოწვევა პოლონეთისთვის?

ამჟამად ევროპას რამდენიმე უმთავრესი პრობლემა აქვს: ლტოლვითა კრიზისი, დიდი ბრიტანეთის გასვლა კავშირიდან და ა.შ. თუმცა მე ოპტიმისტურად ვუყურებ ევროგაერთიანების მომავალს. ევროკავშირი დაფუძნებულია კრიზისის გადასაჭრელად და ევროპული ინტეგრაციის იდეა კვლავ რჩება ერთ-ერთ უძლიერესად მსოფლიოში. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში წევრებს შორის გამოხატული სოლიდარობაა, ისევე, როგორც ევროკავშირში მობილიზებული რესურსი და მისი დახმარება განვითარებადი ქვეყნების მიმართ. ევროკავშირი მუშაობს და ძალიან მალე გადაწყდება ყველა ის კრიზისი, რომელიც ორგანიზაციის წინაშე დგას. რაც შეეხება ნატო-ს, ვფიქრობ, ჩვენი მიზანი ამჟამინდელი გამოწვევების ფონზე აღმოსავლეთ საზღვრების გაძლიერებაა. ასევე მიმაჩნია, რომ ჩვენ მეტი ინვესტირება უნდა განვახორციელოთ საქართველოს მსგავს სახელმწიფოებში, რომლებსაც ალიანსში გაერთიანებისა და ინტეგრაციის სურვილი აქვთ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალი პრეზიდენტი - რა კონტექსტში ახსენა პედრო აგრამუნტმა საქართველო

ეკა ფხოველიშვილი (პოლონეთი)

ევროსაბჭოს საპარამენტო ასამბლეას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. თანამდებობა სახალხო პარტიის ფრაქციის თავჯდომარემ და ესპანეთის დელეგაციის წევრმა პედრო აგრამუნტმა ჩაიბარა. მან პოსტზე ლუქსემბურგელი ან ბრასერი შეცვალა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ერთი წლით ირჩევენ, თუმცა მისი ხელახლა არჩევა განმეორებითაც შესაძლებელია. აღნიშნული თანამდებობის დაკავებამდე, იგი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ევროპის სახალხო პარტიის ფრაქციის თავჯდომარე იყო. 2000 წლიდან პედრუ აგრამუნტი საპარლამენტო ასამბლეაში ესპანეთის დელეგაციის წევრია.

„ჩვენ არ ვართ აქ შეკრებილები იმის რწმენით, რომ ევროპა არის სრულყოფილი. ჩვენ აქ ვართ, რადგან მიგვაჩნია, რომ ერთად გადავწყვეტთ პრობლემებს“, - განაცხადა პრეზიდენტმა მანამდე, სანამ ევროპაში არსებულ ოთხ ძირითად საკითხზე ისაუბრებდა. საინაუგურაციო სიტყვაში პედრუ აგრამუნტმა ევროპის მთავარ გამოწვევებად დაასახელა ტერორიზმი, მიგრანტთა კრიზისი, მოუგვარებელი კონფლიქტები და როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პოპულიზმის გაძლიერება.

პედრუ აგრამუნტის სიტყვაში ორჯერ იყო ნახსენები საქართველო, მათ შორს კრიტიკული კუთხითაც. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაყინული კონფლიქტები, ევროპის კონტინენტზე სხვა მოუგვარებელ კონფლიქტებთან ერთად, საფრთხეს უქმნის ევროპის უსაფრთხოებას. „გაყინული კონფლიქტის საფრთხეები ჯერ კიდევ არსებობს დნესტრისპირეთში - მოლდოვის რესპუბლიკაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში - საქართველოში, მთიან ყარაბაღსა და აზერბაიჯანში“, - განაცხადა პედრუ აგრამუნტმა.

ევროსაბჭოს ახალმა პრეზიდენტმა თავის გასული წლის ანგარიშში ყოფილი მერის გიგი უგულავასათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამო საქართველო გააკრიტიკა. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება მან ახლაც გაამახვილა. პედრუ აგრამუნტმა რუსეთში დაკავებულ უკრაინელ პილოტ ნადია სავჩენკოსთან ერთად, გიგი უგულავა პოლიტპატიმრად მოიხსენია, რასაც დელეგაციაში მყოფი საპარლამენტო უმრავლესობის წევრების კრიტიკული შეფასებები მოჰყვა.

ევროსაბჭოში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი თედო ჯაფარიძე პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც მან გიგი უგულავა პოლიტპატიმრად მოიხსენია. „საქართველოში კანონზე მაღლა არავინ დგას. საქართველო სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოა, საპარლამენტო ასამბლეამ კი დემოკრატიულ კონსოლიდაციას ხელი უნდა შეუწყოს“, - განაცხადა ჯაფარიძემ.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთბათა კომიტეტის თავჯდომარე თედო ჯა-ფარიძე პრეზიდენტის არჩევის პარალელურად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. მისი ახალი პოსტი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი წარმატემაა, რამაც შესაძლოა ქართულ მხარეს, ისევე როგორც თავად ჯაფარიძეს, უფრო თამამი განცხადებების გაკეთებისკენ უბიძგოს.

პედრუ აგრამუნტის გამოსვლას აფასებს საქართველოს არლამენტის წევრი ეკა ბესელია და მიიჩნევს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის შეფასებები არაობიექტურია. „ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ბატონი პედრუ აგრამუნტი, როგორც საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, დაივიწყებს მის პირად პოლიტიკურ მეგობრებსა და სიმპატიებს და შეძლებს, განცხადებები ევროსაბჭოს პრინციპების ფარგლებში გააკეთოს“, - აცხადებს ბესელია.

თავის მხრივ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა განცხადებებს ოპოზიციაც გამოეხმაურა და მათ ევროსაბჭოს ასამბლეის პრეზიდენტის წინააღმდეგ საქართველოს დელეგაციის კრიტიკული გამოსვლები დაგმეს. საპარლამენტო უმცირესობის წევრის, დავით ბაქრაძის განცხადებით, საქართველოსათვის უფრო მომგებიანია, რომ ნაკლებად დაუპირისპირდეს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ ლიდერებს.

„მე ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტისათვის, ევროსაბჭოს პრინციპები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირადი ან პარტიული მეგობრობა“, - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

საქართველოში არსებული კონფლიქტები ევროსაბჭოს განსაკუთრებული კონტროლქვეშ მუდმივად არის. ევროსაბჭო აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ეს არის საფუძველი მომავალი პოზიტიური ცვლილებებისა. საქართველოს აქვს სურვილი, რომ გახდეს ევროპის უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ამავდროულად, ქვეყნის სურვილია, რომ ევროპამ გარკვეულწილად საკუთარ თავზე აიღოს მისთვის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა.

ოფიციალური თბილისი, სეპარატისტული რეგიონებისაგან განსხვავებით, ევროსაბჭოს ლეგიტიმური პარტნიორია და მის მიერ გადადგმული ნაბიჯები აუცილებალდ მოიტანს დადებით განვითარებას კონფლიქტების მოგვრებაში. შესაბამისად, პედრუ აგრამუნტის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების აუცილებლობაზე ხაზგასმას, როგორც ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სახელმწიფოსათვისაც.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო დასავლეთის მიმართ მინიშნება, რათა არ მოხსნან ქართული კონფლიქტები დღის წესრიგიდან. ყოველ შემთხვევაში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრტეზიდენტის მხრიდან დე ფაქტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების ხსენებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საკითხი ისევ აქტუალურია საერთაშორისო დონეზე.

Tiflis PALACE

Palace of Hospitalily

Hotel "Tiflis Palace" Offers 7 Categories of Elegantly Designed, Comfortable Rooms from 18m² to 140m² with Picturesque Views of Old Tbilisi.
Everything to Ensure Luxury Comfort and the Best Rest for Our Dear Guests!

Conference & Banquet Services

Tiflis Palace Provides the Perfect Environment for Business Meetings as well as for a Truly Romantic Wedding in a Legendary Place with an Astonishing and Unforgettable Views.
Trust Your Business Event to Our Professionals!

3, Gorgasali Street, 0105, Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2 000 245 www.tiflispalace.ge

CUSHMAN & WAKEFIELD® | VERITAS BROWN

INDEPENDENTLY OWNED & OPERATED MEMBER OF THE CUSHMAN & WAKEFIELD ALLIANCE

რეგიონის რჩეული უძრავი ქონების საკონსულტაციო კომპანია

კვლევა
ვირტუალური ოფისები
უძრავი ქონების მართვა
უძრავი ქონების შეფასება
საინვესტიციო მომსახურება

ოფისები
60
ქვეყანაში
მსოფლიოს მასშტაბით

43,000
თანამშრომელი

$5
მილიარდი
დოლარის მოგება

$191
მილიარდი
დოლარის ტრანზაქცია

4.3
მილიარდი
კვ.ფუტი ქონება მართვაში

ელ-ფოსტა: info@veritasbrown.com; www.veritasbrown.com
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, X ბლოკი, VI სართული; ტ: +995 322 47 48 49

ჰააგის საერთაშორისო სასამართლო აგვისტოს ომის დანაშაულებს გამოიძიებს

გიორგი ჩაფიძე (ბელგიეთი)

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ 27 იანვარს პროკურორ ფატუ ბენსუდას უფლება მისცა გამოიძიოს დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და მის მახლობლად 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა. პროკურორმა 2015 წლის 13 ოქტომბერს სასამართლოსაგან გამოითხოვა უფლება, აწარმოოს გამოძიება რომის სტატუტის მე-15 მუხლის მიხედვით, რაც მოიცავს ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულებს, როგორებიცაა: ადამიანების დევნა და იძულებით გადასახლება, სამოქალაქო პირებზე თავდასხმა, წინასწარ განზრახული მკვლელობა, მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმა, ქონების განადგურება და ძარცვა.

პროკურორის მოთხოვნისა და წარმოდგენილი მასალების გათვალისწინებით, სასამართლოს უჩნდება გონივრული ეჭვი, ივარაუდოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სისხლის სამართლის დანაშაულები განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე დროის მითითებულ მონაკვეთში, რის გამოც გამოძიების საწარმოებლად გაიცემა ავტორიზაცია.

ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში აგრეთვე ნათქვამია, რომ სასამართლოს აქვს გამოძიების წარმოების შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც აღნიშნულ საქმეს კონკრეტული სახელმწიფო ან გაეროს უშიშროების საბჭო არ იძიებს. ვინაიდან საქართველოში ამ საკითხზე საგამოძიებო მოქმედებები შეწყვეტილია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უჩნდება საქმის წარმოების უფლებამოსილება. მოსამართლის თქმით, საგამოძიებო მასალებს სხვადასხვა მიუკერძოებელი წყაროდან შეაგროვებენ.

აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურა საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელმაც გამოძიების დაწყება ცალსახად დადებითად შეაფასა. მისი თქმით, სისხლის სამართლებრივი საქმის აღძვრა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება. მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართველთა ეთნიკური წმენდის გამოძიებას. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლას - ეს ვარაუდი გამოთქმულია პროკურორის მიერ მომზადებულ წინასწარ დასკვნაში. წულუკიანის განცხადებით საქმე მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა, ხოლო იუსტიციის სამინისტრო პროკურორ ფატუ ბენსუდას მასალებს ერთი თვის ვადაში გადაუგზავნის.

სასამართლოს განცხადებას განსხვავებული კომენტარი მოჰყვა თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის მხრიდან, რომელიც უკმაყოფილოა განცხადების ტონალობით, განწყობითა და საგამოძიებო სუბიექტებით და იმედოვნებს, რომ ამჟამინდელი დასკვნა მხოლოდ წინასწარი მოკვლევის საფუძველზეა გაკეთებული. მისი თქმით, ორივე მხარის დანაშაულში იგულისხმება ქართული და სამხრეთ ოსეთი მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულები. პროკურორ ფატუ ბენსუდას განცხადებით კი, აღნიშნულ დანაშაულებში სამივე მხარე მონაწილეობდა. შესაბამისად, არ გამოირიცხება, რომ დამტკიცდეს სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობისას რუსული მხარის მიერ ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის ფაქტი. მინისტრისთვის მისასალმებელია, რომ საგამოძიებო მანდატი 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით განისაზღვრა, რაც იძლევა შანსს, სამუდამოდ დასრულდეს თემასთან დაკავშირებული ორაზროვნება და დადგინდეს სიმართლე. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ტრიბუნალმა დაადასტუროს ქართველების წინააღმდეგ მიერ ჩადენილი დანაშაული და პასუხისმგებელი პირები დაისაჯონ. შესაძლო დამნაშავეების დაპატიმრებაზე განცხადება პროკურორმაც გააკეთა და აღნიშნა, რომ დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში დაკავების ორდერი გაიცემა.

რუსეთი საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივნის განცხადებით, საერთაშორისო სასამართლო მიკერძოებულია და სიტუაციას აგრესორის გადმოსახედიდან განიხილავს, ვინაიდან ადანაშაულებს რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც თავდასხმის მსხვერპლნი არიან. მანვე დაამატა, რომ რუსეთის ფედერაცია იმედგაცრუებულია სასამართლოს პოზიციითა და პროკურორის წინასწარი დასკვნებით.

რატომ შეიძლება აღნიშნული სასამართლო პროცესი საქართველოს სასარგებლოდ წარიმართოს? ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა წინასწარი დასკვნის რამდენიმე პუნქტი. სასამართლოსადმი პროკურორის მიმართვაში ნათქვამია, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს რუსი სამხედროები გახდნენ ოკუპანტები, რომელთაც შეეძლოთ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეფექტური კონტროლის განხორციელება და რუსული რეგულაციების დამკვიდრება. სასამართლომ დაადასტურა, რომ 13 აგვისტოს რუს სამხედროებს უკვე დადგმული ჰქონდათ საგუშაგოები, რაც მათ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის კონტროლის საშუალებას აძლევდა. საქართველოს სამწუხაროდ შეიძლება ითქვას, რომ აქვე აღნიშნულია რუსი სამხედროების დადებით როლზე - მათ შემოსვლას მოჰყვა სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ მაროდიორობისა და სამოქალაქო ქონების განადგურების შემცირება. დასკვნაში არ არის გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ რუსი სამხედროები თავად ანადგურებდნენ სამოქალაქო ქონებას.

მოხსენებაში მიხედვით, იმისთვის, რომ ეუთოს დამკვირვებლებს არ ჰქონოდათ სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საშუალება, რუსმა ჯარისკაცება შესაბამის ზომებს მიმართეს. მიუხედავად ამისა, სასამართლო კონფლიქტის მონაწილე მხარეებად საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს მოიაზრებს, რომლებიც იტაცებდნენ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს, ხოლო რუსეთის ფედერაციაზე ნათქვამია, რომ მისი სამხედრო თვითმფრინავები ქართულ საჰაერო სივრცეს არღვევდნენ. აგრეთვე აღნიშნულია, რომ 1-2 აგვისტოს მოხდა ცეცხლის გახსნა ქართული და ოსური მხრიდან. მიუხედავად ქართული მხარის მტკიცებისა, რომ ცეცხლი გაიხსნა სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, პირველი გასროლის დრო და განმხორციელებელი დადგენილი არ არის.

ქართული პოზიციისათვის საზიანოა იმის დაშვება, რომ 8 აგვისტოსვე რუს სამხედროებზე ორ სხვადასხვა ადგილას წინასწარ განზრახული თავდასხმა ქართული სამხედროების მხრიდან განხორციელდა. სადავოდ რჩება ფაქტი, იყვნენ თუ არა რუსი სამშვიდობოები ამ დროისათვის ჩართულნი სამხედრო მოქმედებებში და აგრეთვე, ქართულმა მხარემ შეტევას უპასუხა თუ თავად წამოიწყო ძალადობრივი ქმედება. ქართული მხარის არგუმენტია, რომ სამშვიდობოებს კონფლიქტში აღნიშნული სტატუსი არ ჰქონდათ, ვინაიდან არ აკმაყოფილებდნენ რომის სტატუტით განსაზღვრულ ორ პირობას - არ იყვნენ მიუკერძოებლები (ეხმარებოდნენ სეპარატისტებს) და ცეცხლი არ გაუხსნიათ თავდაცვის მიზნით. სასამართლომ შესაძლოა გაითვალისწინოს 2007 წლის ევროპარლამენტის დასკვნა, რომ „რუსმა სამშვიდობოებმა დაკარგეს ნეიტრალური და მიუკერძოებელი მშიდობისმყოფელების სტატუსი“, რაც ქართული მხარის პოზიციის დამატებითი არგუმენტია.

განცხადებაშიაგრეთვენათქვამია, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს წინააღმდეგობას უწევდნენ რუსი სამხედროებიც, რომლებიც სეპარატისტებს ეხმარებოდნენ. რუსი სამხედროების მხრიდან სამხედრო დანაშაულის ჩადენის დამტკიცების საფუძველს აჩენს ის ფაქტი, რომ 8 აგვისტოსვე რუსულმა სამხედროებმა იერიში მიიტანეს, გორზე, ვარიანზე და თბილისზე, ხოლო სამხრეთ ოსური ძალები მათ მხოლოდ მოგვიანებით შეუერთდნენ. გარდა ამისა, სასამართლომ შესაძლოა განავრცოს არგუმენტი, რომ რუსი სამხედროები მინიმუმ არ ახდენდნენ სამხრეთ ოსეთის ძალების ძალადობრივი ქმედებების პრევენციას, მაშინ, როდესაც ჰქონდათ ამისი შესაძლებლობა, ახორციელებდნენ რა ტერიტორიის ეფექტურ კონტროლს.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ ომის მიმდინარეობისას მიზანმიმართული ძალადობა ხდებოდა ქართულ მოსახლეობასა და სოფლებზე, ადგილი ჰქონდა გატაცებას, სახლების გადაწვას, ეთნიკური ქართველების საცხოვრებლები სპეციალური სამიზნეების დასადგენად გამოიყენებოდა. ეს ქმედებები, სავარაუდოდ, ქართველთა რაოდენობის შესამცირებლად და რეგიონის ეთნიკური კომპოზიციის შესაცვლელად განხორციელდა. აქვე აღნიშნულია, რომ ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებულ ამ ძალადობრივ ფაქტებში რუსი სამხედროების ნაწილი მონაწილეობდა. დადასტურებულია, რომ რუსული სამხედრო ვერტმფრენების სოფლებზე იერიშის მიტანის შემდეგ, რუსი ჯარისკაცები და სეპარატისტები ერთად შედიოდნენ დაბომბილ ტერიტორიებზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება მომდენო თვეებში გახდება ცნობილი. გამოძიებამ შესაძლოა დამტკიცოს არა მხოლოდ სამხრეთ ოსური ძალების, არამედ რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. საქართველოსთვის სამწუხარო იქნება, თუკი დამტკიცდება რუს სამშვიდობოებზე თავდასხმის ბრალეულობა, თუმცა მანამდე სასამართლომ უნდა იმსჯელოს ჰქონდათ თუ არა რუს სამშვიდობოებს მშვიდობისმყოფელთა სტატუსი. იმ შემთხვევაში, თუკი ქართული მხარე ითანამშრომლებს გამოძიებასთან და მიაწვდის დამხმარე მასალებსა და მტკიცებულებებს, აღნიშნული პროცესი დაასრულებს მრავალწლიანი სპეკულაციების თემას ომის დანაშაულებში მხარეების ბრალეულობის შესახებ.

ნატო-ს 2015 წლის იმედისმომცემი ანგარიში

ბუჩამ ფცქიალაძე (ბულბარეთი)

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა 2015 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. დოკუმენტში საუბარია გასულ წელს ორგანიზაციის მიერ მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე. ასევე გადმოცემულია ალიანსის სხვა აქტორებთან არსებული ურთიერთობები, სამხედრო მისიები, თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით და 2015 წელს მიღებული გამოცდილება.

ანგარიშში სტოლტენბერგი მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ საკითხებსაც მიმოიხილავს: ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი აფრიკაში შექმნილი ვითარება, სირიასა და ერაყთან დაკავშირებული მოვლენები, ტერორისტული აქტები, რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებები - ეს ის ძირითადი თემებია, რაზეც ნატო-ს გენერალური მდივანი ყურადღებას ამახვილებს.

დოკუმენტში ნახსენებია 2014 წლის სექტემბერში უელსის სამიტზე მიღწეული შეთანხმება ნატო-სა და საქართველოს შორის, რომლის შედეგადაც მხარეებმა დაიწყეს ურთიერთობების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით: ექსპერტების მიწოდება საქართველოსთვის სტრატეგიული და ოპერაციული გეგმებისთვის, დახმარება სპეციალური ოპერაციული ძალებისთვის, სამხედრო პოლიციისთვის, კიბერ-თავდაცვისთვის, საზღვაო უსაფრთხოებისთვის, ავიაციისთვის, საჰაერო თავდაცვისა და სტრატეგიული კომუნიკაციისთვის. ეს შეთანხმება მოიცავდა საერთო მომზადებისა და შეფასების ცენტრის შექმნას და სამხედრო ინსტიტუტის სკოლის დაარსებასაც.

ნატო-საქართველოს პირველი სამხედრო სწავლება 2015 წლის აპრილში გაიმართა. ზემოთ ნახსენები საერთო მომზადებისა და შეფასების ცენტრი კი გასული წლის ივლისში კრწანისში გაიხსნა. მოხსენებაში საუბარია ნატო-ს ეგიდით გამართულ იმ აქტივობებზეც, რაშიც საქართველომ მიიღო მონაწილეობა. მაგალითად, 5-20 ივნისს ბალტიის ზღვაში გამართული სამხედრო წვრთნა, რაშიც, საქართველოს გარდა, დანიის, ესტონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ლატვიის, ლიტვის, ნიდერლანდების, პოლონეთის, შვედეთისა და დიდი ბრიტანეთის ძალებმა მიიღეს მონაწილეობა.

8-22 ივლისს კი სამხედრო წვრთნა საქართველოში ჩატარდა ბულგარეთის, ლიტვის, ლატვიის, რუმინეთისა და აშშ-ის 800 სამხედროს თანხლებით.

საქართველო ჩართულია უელსის სამიტზე მიღწეული შეთანხმების იმპლემენტაციაში: ფუნქციონალური თავსებადობის პარტნიორობის ინიციატივა, თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შექმნა. პირველი მათგანი გულისხმობს ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების ძალებს შორის საერთო ოპერაციების ჩატარებას. მის ფარგლებში საქართველოს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს ორმხრივი ურთიერთობებით და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის მიზნით მიმართოს ორგანიზაციას უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში. უელსის სამიტის შემდეგ საქართველომ თავდაცვის შესაძლებლობების შექმნა (*Defense Capacity Building*) დაიწყო, რაც გულისხმობს ნატო-ს მხრიდან დახმარებას, წვრთნებს, რჩევებს, მონიტორინგსა და სათანადო ცოდნის გადაცემას თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში.

მოხსენებაში ხაზგასმულია ნატო-ს მხარდაჭერა უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს მიმართ, რათა მათ საგარეო ზეწოლას უკეთესად გაუძლონ. იქვე ნახსენებია რუსეთის ფედერაცია და განცხადებულია, რომ საჭიროა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება. თუმცა რუსეთი აგრძელებს თავის არაპროგნოზირებად სამხედრო პოლიტიკას, იკავებს რა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ტერიტორიის ნაწილს არალეგალურად და აგრძელებს სეპერატისტების მხარდაჭერას აღმოსავლეთ უკრაინაში. ამას გარდა, რუსეთზე ნათქვამია, რომ მან მნიშვნელოვნად გაზარდა ნატო-ს საზღვართან სამხედრო აქტივობები და ღიად დააფიქსირა მზაობა სამხედრო ძალის გამოყენებაზე საგარეო და თავდაცვითი მიზნების მისაღწევად.

2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ ძალადობრივმა ქმედებებმა და 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის ანექსიამ ფუნდამენტური საფრთხის წინაშე დააყენა ევროპის საერთო უსაფრთხოება, მშვიდობის გარანტია და უგულვებელყო საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი პრინციპები, რომელზეც შეთანხმება ჰელსინკის საბოლოო ნაწილში იქნა მიღწეული. პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ერთმა ევროპულმა ქვეყანამ სრულიად არალეგალურად დაიპყრო მეორე ქვეყნის ტერიტორია. ასევე, რუსეთი თავისი აგრესიული ქმედებებით ამცირებს სამხედრო გამჭვირვალობას და უარყოფს იმ შეთანხმებებს, რაც ბოლო პერიოდში მიიღწია რუსეთსა და ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციას შორის.

საერთო ჯამში, ახალი მოხსენება საქართველოსთვის დადებითადაა შეფასებული, რასაც საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებაც მოწმობს. თინათინ ხიდაშელმა აღნიშნა, რომ ნატო-ს მხრიდან საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავების სურვილი ამომწურავი იყო იენს სტოლტენბერგის ანგარიშში. ნატო-საქართველოს ურთიერთობებში შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენა ვარშავის სამიტს უკავშირდება, რომელიც მიმდინარე წლის 8-9 ივლისს უნდა გაიმართოს. სამიტზე საუბარი შეეხება მტკიცე პარტნიორობის პროგრამას, პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობასა და სხვა საკითხებს. თუმცა საქართველოსთვის, მთავარი საკითხი პარტნიორ ქვეყნებთან კავშირი იქნება, კერძოდ, მისი და ნატო-ს ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლა.

მიუხედავად იმისა, რომ უელსის 2014 წლის სამიტზე ნატო-მ და საქართველომ გარკვეულ შეთანხმებებს მიაღწიეს, მთავარი მიზანი - ორგანიზაციაში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღება - მიუღწეველი დარჩა, რის გამოც უელსის სამიტის ცალსახად დადებითად შეფასება შეუძლებელია. მეორე მხრივ, ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე საქართველომ 2014 წლიდან მოყოლებული მნივნელოვანი ნაბიჯები გადადგა ორმხრივი ურთიერთობების გასაუმჯობესებლად: ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტი, საქართველო აქტიურად მონაწილეობს ნატო-ს ეგიდით გამართულ საერთაშორისო მისიებში (ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს ყველაზე დიდი კონტიგენტი ჰყავს გაგზავნილი აშშ-ის შემდეგ და უსწრებს ალიანსის ისეთ მნიშვნელოვან წევრებს, როგორებიცაა: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი და სხვ., არაფერი რომ აღარ ვთქვათ არაწევრ ქვეყნებზე), რითაც ხაზს უსვამს მის რეალურ მზაობას, წინ წასწიოს ორგანიზაციასთან ურთიერთობები და მიუახლოვდეს მთავარ მიზანს: ჯერ სამოქმედო გეგმის მიღებას, შემდეგ კი ნატო-ში გაწევრიანებას.

უელსის სამიტზე სამოქმედო გეგმის მოუპოვლობის შემდეგ გადადგმული ნაბიჯები საკმაოდ პოზიტიურად ფასდება როგორც საქართველოს მთავრობის, ისე თავად ორგანიზაციის მხრიდან, რის გამოც ვარშავის სამიტზე საქართველო, დიდი ალბათობით, სამოქმედო გეგმის მიღებას მოითხოვს, რაც ახალი ეტაპი იქნება ორმხრივ ურთიერთობებში.

იენს სტოლტენბერგის ანგარიში დამაიმედებელი პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა, რადგან, ერთი მხრივ, ხაზგასმულია საქართველოს ჩართულობა ნატო-ს სხვადასხვა სახის საქმიანობებში და გადადგმული არსებითი ნაბიჯები ორგანიზაციასთან ინტეგრაციისკენ, მეორე მხრივ, ნატო კვლავ გმობს რუსეთის პოლიტიკას არა მხოლოდ უკრაინის, არამედ საქართველოს მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების კუთხით.

მომავალ სამიტზე შეჯამდება ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოს მიერ განხორციელებული პროექტები, რასაც უელსის სამიტი ითვალისწინებდა. შეხვედრაზე განიხილება ასპირანტი ქვეყნების მიერ ბოლო პერიოდში მიღწეული პროგრესი. სავარაუდოდ, ყველაზე დიდი ყურადღება უკრაინასთან თანამშრომლობას დაეთმობა, ასევე სერიოზულად განიხილება ორგანიზაციაში მონტენეგროს გაწევრიანების საკითხიც, რომელსაც წევრობის საკმაოდ დიდი შანსი აქვს. საქართველო კი შეეცდება, დღის წესრიგში „მაპის“ მინიჭება დააყენოს.

არსებითი დამაბრკოლებელი ფაქტორი, რაც სამოქმედო გეგმის მიღებას ახლავს, ისევ და ისევ რუსეთთანაა დაკავშირებული. პუტინის ხელისუფლება ცალსახად აღნიშნავდა ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდეც და მის შემდეგაც, რომ ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოება რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების საკითხი და წითელი ხაზია და ის ყველაფერს გააკეთებს ამის თავიდან ასაცილებლად. უკრაინის მოვლენებმა კი ორ მხარეს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა, რის გამოც ნატო-მ, იცის რა რუსეთის პოზიცია და მისგან მომდინარე საფრთხე, შეიძლება, საქართველოსთვის „მაპის“ მიცემის საკითხი კვლავ სამომავლოდ გადადოს.

სამიტამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი და წინასწარ სწორი პროგნოზის გაკეთება რთულია, მაგრამ თუ საქართველოს მთავრობა მუშაობას გააგრძელებს არა მხოლოდ ორგანიზაციის ფარგლებში, არამედ მის თითოეულ წევრ ქვეყანასთან, ეს „მაპის“ მიღების შესაძლებლობას კიდევ უფრო გაზრდის. თუმცა, ნათელია, რომ რუსეთ-უკრაინა-ნატო-ს სამკუთხედი და მათი ურთიერთობა პირდაპირ გავლენას მოახდენს ალიანსის საბოლოო პოზიციაზე საქართველოსთვის სამოქმედო გეგმის მიცემის პროცესში.

ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად კვირიკაშვილის მთავრობა ახალი რეფორმების გატარებას გეგმავს

გურანდა ძამელაშვილი

საქართველოს პრემიერ–მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა 28 იანვარს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მე-11 საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად 4–პუნქტიანი გეგმა გააცნო.

პრემიერმა, პირველ რიგში, ყურადღება საგადასახადო რეფორმაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში საქართველო გადასახადების ადმინისტრირების ესტონურ მოდელზე გადავა,

ასევე, განხორციელდება საგადასახადო სამსახურის რეფორმაც.

„ჩვენ გავაუქმებთ მოგების გადასახადს. ვამზადებთ შესაბამის კანონპროექტს, რომელსაც მთავრობა უახლოეს მომავალში განიხილავს და რომლის თანახმადაც დაიბეგრებიან მხოლოდ დივიდენდები, რადგანაც ბიზნეს გარემოს ლიბერალიზაცია გვჭირდება. დეტალური ინსტრუქციები მიეცემა საგადასახადოს ინსპექტორებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისპექციის წარმოების დროს. წავახალისებთ დამწყებ ბიზნესმენებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, რომ ჰქონდეთ ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი ფინანსების მოპოვების შესაძლებლობა საბანკო სექტორთან შეხების გარეშე“, - აღნიშნა კვირიკაშვილმა.

რეფორმების მეორე ბლოკი მიზნად ისახავს სახელმწიფო მმართველობის გაუმჯობესებას, რასაც მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო მესამე ბლოკის თანახმად დაჩქარდება ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარების ტემპები, რაც ბიზნესის განვითარებას ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

„ქვეყნის ამჟამინდელ ინფრასტრუქტურული განვითარების ტემპს ნამდვილად სჭირდება დაჩქარება. უპირველეს ყოვლისა, სწრაფად უნდა დასრულდეს მიმდინარე გზატკეცილების მშენებლობა და აშენდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი გზა, რათა გაიზარდოს ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობები“, - განაცხადა პრემიერმა თავის გამოსვლაში.

რეფორმების მეოთხე ბლოკი განათლების სისტემის გარკვეულწილად შეცვლასა და გაუმჯობესებას გულისხმობს, რომლის მიხედვითაც მეტი ყურადღება დაეთმობა პროფესიულ განათლებას.

კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკონომიკა ერთ–ერთი ყველაზე ლიბერალურია რეგიონში. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ახლახანს დაწყებული მოლაპარაკებები კი გააუმჯობესებს ეკონომიკასა და დადებითად წაადგება ქვეყნის იმიჯსა და როლს რეგიონში.

„ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც აქვს შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა, ძალიან მარტივი ბიუროკრატიული სისტემა, ძალიან დაბალი გადასახადები, რომლებიც, ჩემ მიერ ხსენებული რეფორმის გატარების შემდეგ, კიდევ უფრო დაბალი იქნება კერძო სექტორისთვის“,- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლი პრემიერის ინიციატივებით კმაყოფილია და მას სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

„ვფიქრობ ეს საუკეთესო ახალი ამბავია, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში მოხდა საქართველოში. ჯერ კიდევ კვირიკაშვილის ეკონომიკის მინისტრობის პერიოდში მახსოვს ვსაუბრობდით იმ საკითხებზე და პრობლემებზე, რომლებიც ბიზნეს სექტორს აწუხებს და ის ყოველთვის მხარდაჭერას გვიცხადებდა. ახლა, როგორც პრემიერი, დარწმუნებული ვარ, ის არ შეიცვლის პოზიციას“, – აღნიშნა ფადი ასლიმ საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრაზე.

საგადასახადო და ბიზნეს სფეროში რეფორმის საჭიროებაზე სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ბოლო სამი წლის განმავლობაში მიუთითებდა. მას არაერთხელ გაუკეთებია კრიტიკული განცხადებები.

„სანამ შემოსავლების სამსახური ხელს შეუშლის ბიზნეს საქმინობას, იქამდე ქვეყანაში ინვეცტიციების შემოდინება დაბალ ნიშნულზე იქნება. საგადასახადო ადმინისტრირება, საშემოსავლო სამსახური, დაშინებები, - ყველაფერი ეს უნდა შეწყდეს“, – აცხადებდა ას-ლი, რომელმაც 2015 წლის მარტში ოფიციალური წერილით მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილსაც კი მიმართა.

„უკვე ერთ წელზე მეტია ვითხოვთ მოიმოქმედოთ რამე და შეაჩეროთ ბიზნესის რეკეტი და შევიწროება, რომელსაც შემოსავლების სამსახური ახორციელებს, რაც საქართველოში ბიზნესის განვითარების ნომერ პირველ დაბრკოლებად იქცა. თქვენ სისტემატურად აიგნორებთ ჩვენს მესიჯებსა და წერილებს, თქვენი დუმილი და უმოქმედობა სიტუაციას კიდევ უფრო აფუჭებს. კიდევ ერთხელ მოვითხოვთ, შეაჩეროთ ბიზნესის შევიწროება და ჩვენ გულწრფელად იმედი გვაქვს, რომ თქვენ საბოლოოდ გადადგამთ საჭირო ნაბიჯებს“,- ამბობდა ფადი ასლი. ამაზე პასუხი საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ უკვე ყოფილი ეკონომიკის მინისტრისგან მიიღო.

„ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს ბიზნესის წინააღმდეგ საქართველოში ზეწოლა ხორციელდება და რაღაც არ მახსოვს ფადი ასლის განცხადებები მაშინ, როდესაც მართლა ზეწოლა იყო ბიზნესზე და მათ შორის მის ბიზნესზე”, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

რაც შეეხება ასლის განცხადებას ინვესტიციების კლებასთან დაკავშირებით, განსხვავებულ სურათს გვაძლევს „საქსტატი“. დაწესებულების ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ასე გამოიყურება, 2012 წელს 911,6; 2013 წ. – 941,9; 2014 წ. – 1758,4; ხოლო 2015 წლის სამი კვარტლის მონაცემებით, მთლიანი შემოსული ინვესტიციების რაოდენობამ 1019 მილიონ ამერიკულ დოლარს მიაღწია.

საგარაო სავაჭო ბრუნვა, “საქსტატის” სტატისტიკით, ბოლო წლებში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდებოდა 2012 წელს - 10413; 2013 წ. – 10921; 2014 წ. – 11454; ხოლო 2015 წლის წინასწარი მონაცემებით 9928 მლნ აშშ დოლარი.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ პროგნოზებს აკეთებს და ამბობს, რომ ჩინეთთან ხელშეკრულების მოწერის შემდეგ საქართველოში გაიზრდება პირდაპირი უცხოური ინვერსიტიების რაოდენობა, რაც ქვეყანაში მეტ სამუშაო ადგილს შექმნის. ჩინურმა და ქართულმა მხარეებმა ამ შეთანხმების ეკონომიკური ეფექტების წინასწარი გაანგარიშება უკვე მოახდინეს. საქართველოსთვის თავისუფალი ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტის კვლევა კომპანია PMCG-იმ ჩაატარა.

კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოს ექსპორტს ჩინეთში დაახლოებით 9%-ით გაზრდის, ჩინური იმპორტის მოცულობა კი სავარაუდოდ 2%-ით გაიზრდება. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება 0.5%-ით შეამცირებს იმპორტთან დაკავშირებულ საგადასახადო შემოსავლების ოდენობას.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა გლობალურ დონეზე რეგულარულ კონსულტაციებს გადის ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: G8, G20, მსოფლიო უმსხვილესი და ყველაზე გავლენიანი ბიზნეს ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 350-ზე მეტ კორპორაციულ წევრს, ახალგაზრდული პროექტის სტუდენტებს, 28 ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

"ტიფლის პალასი" 2016 წლის მოგზაურთა რჩეული სასტუმრო გახდა

თამარ ჩაფიძე EXCLUSIVE

„ტიფლის პალასი“ - ძველი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სასტუმრო თავისი მაღალი დონის მომსახურებითა და შთამბეჭდავი ხედებით „2016 წლის მოგზაურთა რჩეული“ გახდა. აღნიშნული ტიტული სასტუმროს ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის "*TripAdvisor*"-ის ვებ-გვერდზე მიენიჭა. რა განაპირობებს ბიზნესის წარმატებას სტუმართმოყვარეობის სფეროში და რამდენად გამართლდა სასტუმროს მენეჯმენტის მოლოდინები, ამის შესახებ „ობზერვერი“ ტიფლის პალასის გაყიდვების მენეჯერს, ნინი ნებიერეიძეს ესაუბრა.

პირველ რიგში გკითხავთ, როგორ ხდება ამ ტიტულის მინიჭება სასტუმროსთვის და რამდენად მნიშვნელოვანი ჯილდოა ეს თქვენთვის?

"*TripAdvisor*", როგორც იცით, მსოფლიოს ყველაზე დიდი და ცნობილი სამოგზაურო ვებ-გვერდია, რომლის მეშვეობით, საერთაშორისო მასშტაბით ტურისტები თავიანთ მოგზაურობას გეგმავენ. მოგზაურობის შემდეგ კი აქვეყნებენ, საკუთარ მოსაზრებებს, შეფასებებს და რჩევებს ამა თუ იმ ტურისტული დაწესებულების ან ადგილის შესახებ.

აღნიშნულ ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მოგზაურთა 290 მილიონზე მეტი მიმოხილვა და დაახლოებით 5 მილიონი სასტუმროსა და რესტორნის შესახებ შეფასება. რაც, თავისთავად ხდის "*TripAdvisor*"-ს ტურიზმის სფეროში ინფორმაციისა და შეფასების სანდო და ძალიან მნიშვნელოვან წყაროდ.

"*TripAdvisor*"-ის მიერ ამა თუ იმ დაწესებულებისთვის ტიტულის მინიჭება მხოლოდ ტურისტების ნებაყოფლობითი შეფასებებსა და მიმოხილვების საფუძველზე ხდება, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. ეს ნიშნავს, რომ მოგზაურებს მოსწონთ სასტუმრო ტიფლის პალასი და მიუხედავად სასტუმროების დიდი არჩევანისა, უპირატესობას ჩვენს სასტუმროს ანიჭებენ.

რამდენად ემზადებოდით ამ ჯილდოსთვის თუ ეს ფაქტი სასიამოვნო მოულოდნელობა იყო თქვენთვის?

აღნიშნული ჯილდო ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო, მაგრამ ნამდვილად მოულოდნელი იყო. შეუძლებელია, წინასწარ გათვალო თუ როგორ შეაფასებდნენ ჩვენს სასტუმროს სხვადასხვა ქვეყნებიდან სხვადასხვა დროს ჩამოსული სტუმრები.

რა არის ის მთავარი კომპონენტი, რაც ასე იზიდავს უცხოელ ტურისტებს თუ ბიზნეს პერსონებს თქვენს სასტუმროში?

თუ სტუმრების შეფასებებზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, შეიძლება 5 ძირითადი კომპონენტი გამოიყოს. პირველ რიგში, ეს არის ადგილმდებარეობა. გარდა იმისა, რომ სასტუმრო მდებარეობს თბილისის ცენტრში, იგი გარსშემორტყმულია ქალაქის ისტორიული და ტურისტული ღირშესანიშნოებებით: გორგირდის აბანოები, ნარიყალას ციხესიმაგრე, ალიევის სახელობის სკვერი, მეიდანი, მეტეხის ხიდი და ტაძარი. ასევე, სასტუმროდან რამდენიმე წუთის სავალზეა შარდენის ქუჩა, რესტორნების, კაფეებისა და სასუვენირე მაღაზიების ფართო არჩევანით. გარდა ამისა, სასტუმროს გააჩნია ხელმისაწვდომი მისასვლელი და საკუთარი პარკინგი.

შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტია ხედები. აღსანიშნავია, „ტიფლის პალასის“ უდაოდ ულამაზესი პანორამული ხედი ქალაზე, რომელიც იშლება როგორც სასტუმროს ნომრებიდან, ასევე სასტუმროს ბოლო სართულზე მდებარე რესტორან „ტიფლის ვერანდიდან“. საკმარისია, გახვიდეთ სასტუმრო ოთახის აივანზე და თქვენ იხილავთ ძველი თბილისის ყველაზე კოლორიტულ და შთამბეჭდავ ხედებს.

მესამე მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლავთ კომფორტული ნომრები და სისუფთავე. „ტიფლის პალასის“ ყველა ნომერი საერთაშორისო სტანდარტებს შესაბამისი და მაქსიმალურად აღჭურვილი სასტუმროა. სტუმრების დამატებითი კომფორტისთვის ნომრებში გათვალისწინებულია ინდივიდუალური კლიმატ-კონტროლის სისტემა, უფასო ხალათი, ღამის ქოშები, ჩაი და ყავა, რაც მათ საშუალებას აძლევს თავი კომფორტულად იგრძნონ მყუდრო გარემოში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასტუმროსა და სასტუმრო ნომრების ყოველდღიურ სისუფთავეს.

სტუმრების შეფასებებიდან ნათლად ჩანს, რომ მათ მოსწონთ მომსახურება და პერსონალის პოზიტიური და მეგობრული დამოკიდებულება. მომღიმარი, თავაზიანი და ყურადღებიანი პერსონალი, სხვა უპირატესობებთან ერთად - ჩვენი სასტუმროს სავიზიტო ბარათია. კვალიფიციური თანამშრომელი ყოველთვის მზადაა დაეხმაროს სტუმარს ნებისმიერ საკითხში, პოზიტიური და მეგობრული ატმოსფერო კი, ვიზიტორთა ერთგულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია.

ცალკე აღსანიშნავია სასტუმროს საკონფერეციო მომსახურება, რომელიც ძალიან მოთხოვნადია საქმიანი სტუმრების მიერ. აქ ყოველდღიურად იმართება მაღალი დონის კონფერენცია, რომელსაც ხშირად დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებიან.

ტიფლის პალასში საქმიანი ვიზიტით ჩამოსულ სტუმარს უნიკალური შესაძლებლობა ეძლევა, არამარტო სასტუმროს პროფესიონალი გუნდის დახმარებით მაღალ დონეზე ორგანიზებული საქმიანი ღონისძიება ჩაატაროს, არამედ ასევე ისარგებლოს სასტუმროს უპირატესობებით და სასიამოვნო საღამო გაატაროს სასტუმროს ულამაზეს რესტორანში, ცოცხალი მუსიკისა და უგემრიელესი კერძების თანხლებით.

სერვისების მიწოდების მხრივ საქართველო მოწინავე პოზიციებს ნამდვილად არ იკავებს, თქვენ როგორ ახერხებთ მუდმივად მაღალი დონის სერვისის უზრუნველყოფას?

სასტუმროს გახსნისთანავე, მაღალი დონის სერვისის ჩამოსაყალიბებლად სასტუმროს სფეროში გამოცდილი სპეციალილსტები თურქეთიდან მოვიწვიეთ, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, სასტუმრო მომსახურების სფერო მაღალ დონეზეა აყვანილი. რა თქმა უნდა, ეს ნაბიჯი გამართლებული და წარმატების მომტანი აღმოჩნდა. ხოლო შედეგის შენარჩუნების მიზნით, ჩვენ წელიწადში სულ სამჯერ ვატარებთ გადამზადების კურსებს და ყოველ ჯერზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ვცდილობთ.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სტუმრების გამოკითხვას, მათ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს, რაშიც ასევე ძალიან გვეხმარება „თრიფ ედვაიზორი“. ყოველი სტუმრის აზრი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვცდილობთ, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათ მიერ მოცემული რეკომენდაციები. მომსახურების დონის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ჩვენთვის ყოველდღიური განხილვისა და მუშაობის საგანია.

როგორია თქვენი ხედვა სტუმართმოყვარეობის სფეროს განვითარების საკითხებზე საქართველოში?

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი მაღალი დონის სასტუმრო გაიხსნა, რის შედეგაც ტურიზმის სფეროში შედარებით კონკურენტუნარიანი გარემო ჩამოაყალიბდა. ეს თავის მხრივ, ხელს უწყობს აღნიშნული სფეროს ზოგად განვითარებასა და ახალი სტანდარტების დანერგვას. თუმცა საქართველოს ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის სფეროში ჯერ კიდევ ბევრი საკითხი აქვს დასარეგულირებელი. ჩემი აზრით, იმისათვის, რომ საქართველო გავიდეს სტუმართმოყვარეობის საერთაშორისო დონეზე და ცნობილი გახდეს არამარტო ღირშესანიშნაობებით, არამედ მომსახურების ხარისხითაც, აუცილებელია ტურისტული მომსახურების სტანდარტებისა და სისტემების სახელმწიფო დონეზე დანერგვა და რეგულირება. სტანდარტიზაცია მოგვცემს საშუალებას, მაქსიმალურად მივუახლოვდეთ საერთაშორისო ნორმებს და შევქმნათ მომსახულების გარკვეული ხარისხის მიღების მოლოდინი და ასოციაცია ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე.

რამდენად აისახა ეკონომიკური კრიზისი სასტუმროების ბიზნესზე და თქვენ როგორ შეძელით ძველი ფასების შენარჩუნება ბაზარზე?

ეკონომიური კრიზისი, რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენას ახდენს ზოგადად ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობაზე და შესაბამისად შეუძლებელია არ აისახოს სასტუმრო მომსახურების სფეროზეც.

„ტიფლის პალასის“ გუნდი ითვალისწინებს ახალ ტენდენციებს, ყოვედღიურად მუშაობს სერვისების განვითარებაზე, მომსახურების მაღალი დონისა და ყველა იმ უპირატესობის შენარჩუნებაზე, რაც ასე ძალიან მოსწონს ჩვენს ერთგულ სტუმრებს და იზიდავს პარტნიორებსაც.

„ტიფლის პალასი“ სამი წელია, რაც გახსნილია, გთხოვთ დაგვისახელოთ ცნობილი სტუმრები, რომლებიც ჩერდებიან თქვენს სასტუმროში.

სასტუმროს ცნობილ სტუმრებს შორის არიან: Gorillaz, ძმები გრიმები, მსახიობი მურატ ილდირიმი და სხვ.

როგორ აპირებს „ტიფლის პალასი“ სტუმრების გაოცებას და მათი კმაყოფილების მორიგ ზრდას 2016 წელს?

2016 წლის განმავლობაში „ტიფლის პალასის“ გუნდი სტუმრებისათვის ხელსაყრელ სეზონურ აქციებს, სხვადასხვა თემატურ ღონისძიებასა და უამრავ სასიამოვნო სიურპრიზს გეგმავს.

უდანაშაულობის პრეზუმცია - ფურცელზე დაწერილი უფლებები საქართველოში

ირაკლი ფავლენიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის არჩილ თალაკვაძის სატელევიზიო ინტერვიუმ დიდი რეზონანსი გამოიწვია. მან პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი, საქართველოს ხმის დამფუძნებლი, აწ გარდაცვლილი ბიძინა კუჭავა დამნაშავედ შერაცხა, განაცხადა რა, რომ პრაქტიკულად უკვე დადგენილია კუჭავას მიერ პროკურორ ქირიას მკვლელობა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ეს განცხადება ბიძინა კუჭავას ადვოკატის ნათია კორკოტაძის მიერ შეფასებული იქნა უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევად. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლში წერია, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ეს უმნიშვნელოვანესი სისხლის-სამართლის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი უმთავრესი გარანტირია, ასახული არის საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებშიც. კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) მე-11 (1) მუხლი ამბობს: „ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, უდანაშაულოდ ითვლებოდეს მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დადგენილი არ იქნება კანონის შესაბამისად საჯარო სასამართლოს მიერ, რომელზედაც ის უზრუნველყოფილი იქნება დაცვის ყველა საჭირო საშუალებით".

მოგვიანებით თალაკვაძე თავის მართლებას შეეცადა და განაცხადა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ვალდებულება და ტვირთი ბრალდების მხარეს არ აქვს. მისი თქმით, ბრალდების მხარე ვალდებულია ამტკიცოს ბრალეულობა.

უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვა ხდება საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუციების მიერა. საგულისხმოა საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკაც. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ქეისი განიხილა. საქმეში *Krause v. Switzerland* 1978 სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო მოხელეებს არ აქვთ უფლება გააკეთონ იმგვარი განცხადებები, რაც ასახავს მათ მოსაზრებას პირის ბრალეულობის შესახებ მანამ, სანამ არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა". იგივე საკითხი განიხილეს 2008 წლის *"Vitan c. Roumanie"* და *"Cionca c. Roumanie"*, ასევე 2002 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე - *"Butkevičius v. Lithuania"*. იგივე სამართლბრივი პრობლემა იყო წამოჭრილი 2010 წლის საქმეზე *"Fatullayev v. Azerbaijan"*.

ყველა ზემოთხსენებულ შემთხვევაში სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად მიიჩნია თანამდებობის პირების მიერ სატელევიზიო ინტერვიუებსა და საჯარო გამოსვლებში მტკიცებით ფორმაში გაკეთებული განცხადებები პირის დამნაშავეობასთან დაკავშირებით. სასამართლომ ყველა ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განცხადება გაკეთებული იყო არა სასამართლოში სიხლის სამართლებრივი საქმის განხილვის დროს, არამედ საჯარო განცხადებების ფორმატში. ხოლო საქმეში სადაც თანამდებობის პირმა ეს განცხადება გააკეთა უშუალოდ სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას (*Daktaras v. Lithuania*) სასამართლომ თანამდებობის პირი გაამართლა. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს შეფასებით, უდანაშაულობის პრეზუმფცია კრძალავს მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით თანამდებობის პირების მხრიდან ბრალდებული პირის დამნაშავეობაზე მითითებას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე. უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს ოფიციალურ პირთა იმგვარი განცხადებები, რომლებიც უბიძგებს საზოგადოებას დაიჯეროს ბრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა და ასევე, შეიძლება შემდგომში ხელი შეუშალოს სასამართლოს საქმის გარემოებების ობიექტურად შეფასებაში.

პროკურორის მკვლელობის საქმე საზოგადოების მხრიდან მაღალი ინტერესით გამოირჩევა და მისი გამოძიება ხელისუფლების მიერ გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს. თუმცა თანამდებობის პირების განცხადებები ფაქტობრივ გარემოებებს უნდა შეიცავდეს და არა მათ მიერ გაკეთებულ ინტერპრეტაციებსა და დასკვნებს, რომლებიც მტკიცებითი ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, არჩილ თალაკვაძის განცხადება, სადაც ის მტკიცებით ფორმით დეკლარირებდა აწ გარდაცვლილი ბიძინა კუჭავას დამნაშავეობას პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობაში უნდა შეფასდეს, როგორც უდანაშუალობის პრეზუმფციის დარღვევა.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც მაღალი თანამდებობის პირები, რომლებსაც უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპის დაცვის უფრო მეტი ვალდებულება აქვთ, ვიდრე სხვა მოქალაქეებს, არღვევენ ამ პრინციპს. სწორედ მსგავსი ფაქტების გამო აღნიშნული სამართლებრივი პრინციპი პრობლემური საკითხის სახით საქართველოზე ეუთოს 2014 წლის ანგარიშში მოხვდა. „საქართველოში აშკარად არ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია",- ასეთი განცხადება გააკეთა 2013 წლის 13 თებერვალს საქართველოში ჩამოსულმა გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა, რომელიც იკვლევდა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებს.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა ყველაზე ხშირად ხდებოდა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ პოლიტიკური ოპონენტების მისამართით. მაგალითად, 2013 წლის 23 იანვარს „პრაიმ თაიმში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელი გოგი თოფაძე კახა ბენდუქიძეს შემდეგ კონტექსტში მოიხსენიებს: „კახა ბენდუქიძე ერთ-ერთი მონაწილეა საქართველოს ეკონომიკის ნგრევისა, თვითონ კაპიკებში ჩაიგდო ხელში ძალიან ბევრი ინსტიტუტი. მე ვაყენებ მისი პასუხისმგებლობის საკითხს. ბენდუქიძეზე ბევრი იტყვის კიდევ, რომ მას უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი."

პოლიტიკოსების გარდა, უდანაშაულობის პრეზუმფციას ხშირად არღვევს სახელისუფლებო და ოპოზიციური მედიაც.

ამის ნათელი დასტურია 2013 წლის 8 იანვარს ნუცუბიძის ქუჩაზე საქართველოს ბანკის დაყაჩაღების ამბავი. ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსთავი 2-მა და სხვა საინფორმაციო საშუალებებმა იმავე დღეს ჭავჭავაძის გამზირზე დაკავებული პირები დამნაშავეებად გამოაცხადეს მაშინ, როცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ადამიანები სხვა დანაშაულში იყვნენ ეჭვმიტანილები.

უდანაშაულობის პრეზუმფციის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციების, არსებული კვლევების, საქართველოს შიდა კანონმდებლობისა და მოყვანილი კონკრეტული ფაქტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ხშირად ირღვევა. ქართველი პოლიტიკოსები, ისევე, როგორც მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები რომელიმე პირზე საუბრისას ხშირად იყენებენ ტერმინებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულად არის მოხსენიებული.

ეს კი აჩენს გონივრულ ეჭვს პოლიტიკურად მოტივირებულ სასამართლო პროცესებზე და ზიანს აყენებს ქვეყნის იმიჯსა და დემოკრატიის ხარისხს.

DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

DRC - the best Arbitration in Georgia

საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.71, 1 სართული. ტელ: 2 207 327
Georgia, Tbilisi, Vaja Pshavela ave. 71, 1 Floor. Tel: 2 207 327

www.drc-arbitration.ge

გრიპის ვირუსები - გამოწვევა ზამთრის სეზონისთვის

სოფიო ჯავახიშვილი

მსოფლიო ახალი ვირუსული ეპიდემიის საფრთხის წინაშეა. "ზიკა"-ასე ეწოდება ვირუსს, რომლის გავრცელება კოღოს ნაკბენის მეშვეობით ხორციელდება. ეპიდაფეთქება სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, კერძოდ, ბრაზილიაში მიმდინარეობს და აღსანიშნავია ის სამწუხარო გარემოებები და შედეგები, რაც ვირუსის გამოჩენას მოჰყვა. საუბარი ეხება ახალშობილებს თანდაყოლილი დეფექტებით, მცირე ზომის თავის ქალითა და ტვინით. „ზიკა" ვირუსისა და ახალდაბადებულში ნევროლოგიურ დაავადებისა და პათოლოგიების გამომწვევი მიზეზების დადგენა ჯერ კიდევ არ მომხდარა. აღნიშნული საკითხის ფარგლებში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თავმჯდომარემ მარგარეტ ჩანმა დამოუკიდებელი ექპსერტების საგანგებო შეხვედრა დანიშნა, 1 თებერვლისთვის დანიშნულ შეხვედრაზე ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში გავრცელებულ ვირუსზე იმსჯელებენ. „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია", რომელიც გაერო-ს უწყებაა, ვარაუდობს, რომ მომდევნო წლის განმავლობაში ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ვირუს ,,ზიკათი" ინფიცირების შემთხვევები 3-4 მილიონს მიაღწევს. ამ დროისთვის შესაბამისი ვაქცინა არ არსებობს და მეცნიერები ჯერ კიდევ კვლევის პროცესში არიან.

პაციენტების ინფიცირება დაავადების ენდემურ ქვეყნებში მოხდა. დღესდღეობით, დაავადების ადამიანიდან ადამიანზე გავრცელების ფაქტი დადასტურებული არაასდა აქედან გამომდინარე, მისი საქართველოში გავრცელება ნაკლებად არის მოსალოდნელი. ბოლო დროს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, საქართველოშიც არანაკლებ მწვავედ აღინიშნება ვირუსულ დაავადებათა მომრავლება.

2009 წლის პანდემიის დროს, როდესაც A გრიპის ქვეტიპი - H1N1 ცირკულირებდა, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, აღნიშნული ვირუსით მსოფლიოში 500,000 ადამიანამდე დაავადდა.

უკანასკნელი ცნობით, H1N1 ვირუსით საქართველოში კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, აჭარის რეგიონში გარდაცვლილია 39 წლის მამაკაცი. ამირან გამყრელიძის ცნობითვე, ამ დროისათვის საქართველოში ლაბორატორიულად დადასტურებულია H1N1 ვირუსით გარდაცვალების 6 შემთხვევა. თუმცა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში აღნიშნავენ, რომ ,,2016 წლის მე-3 კალენდარული კვირის მდგომარეობით, გრიპის გავრცელების ინტენსივობა საქართველოში ეპიდემიოლოგიურ ზღურბლს არ აჭარბებს და შეადგენს 332,6-ს. მრავალწლიანი დინამიკის მიხედვით გრიპის გავრცელების ეპიდემიური ზღურბლია 450-500 შემთხვევა 100000 მოსახლეზე. ამასთან, საყრდენი ბაზებით ეპიდზედამხედველობის მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო სამი კვირის მანძილზე აღინიშნება გრიპისმაგვარი დაავადებების ინციდენტებისა და მძიმე რესპირაციული ინფექციებით ჰოსპიტალიზაციის წილის მატების ტენდენცია". NCDC-ის სტატისტიკის მიხედვით, გრიპის გავრცელების ინტენსივობა შარშანდელის მსგავსად იგივეა. ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი წელსაც არ შეცვლილა. ძირითადად ქვეყანაში ცირკულირებს H1N1, ეს გრიპის ის ვირუსია, რომელიც 2009-10 წლებში პანდემიურად იყო წარმოდგენილი ჩვენს ქვეყანაში.

გრიპის ვირუსებთან დაკავშირებით „ობზერვერი" დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეპიდემიოლოგს, მედიცინის დოქტორს გიორგი ჩახუნაშვილს ესაუბრა. მან აღნიშნა, რომ 2016 წლის მე-3 კალენდარული კვირის მონაცემებით, გრიპის გავრცელების მაჩვენებელი ეპიდემიოლოგიურ ზღურბლს არ აჭარბებს (500 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე) და 332,6 შემთხვევას შეადგენს 100 000 მოსახლეზე. ამჟამად, დაფიქსირებულია 6 ლეტალური შემთხვევა, რომელთა შორის 5-ს გრიპის ვირუსის A/H1p ქვეტიპით ინფიცირება ლაბორატორიულად დაუდასტურდა.

საყრდენი ბაზებით ეპიდზედამხედველობის მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო 3 კვირის მანძილზე აღინიშნება გრიპისმაგვარი დაავადებების ინციდენტობისა და მძიმე მწვავე რესპირატორული ინფექციებით ჰოსპიტალიზაციის წილის მატების ტენდენცია. ამ დროისთვის, ლაბორატორიულად გამოვლენილია გრიპის 160 ვირუსი, მათ შორის 153 - A/H1p და 7 - A/H3.

„გრიპისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალება გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციაა. გრიპის სეზონის დაწყებამდე, ჩვენი ცენტრის მიერ ჩატარდა რისკჯგუფების ვაქცინაცია და სულ აცილ იქნა 12 000 ადამიანი. ასევე, გრიპით ავადობის მატებასთან დაკავშირებით გაიცა სკოლებში სწავლების პროცესის შეჩერების რეკომენდაცია (იმ სკოლებში სადაც გაცდენები 20%-ს აღემატება). თუმცა, აღნიშნულ ქმედებებს ავადობის შესამცირებლად სავარაუდოდ დიდი ზეგავლენა არ ექნება თუ დაავადებული პაციენტები არ გაითვალისწინებენ შემდეგ რჩევებს: მოერიდონ მასიური თავშეყრის ადგილებს, დროულად მიმართოთ ექიმს, ხშირად დაიბანონ ხელები საპნით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა; გაანიაონ საცხოვრებელი ადგილი. ხოლო ისეთი სიმპტომების შემთხვევაში, როგორებცაა სუნთქვის გართულება, ქოშინი, სისხლიანი ნახველი - სასწრაფოდ მიმართონ ექიმს",- აღნიშნავს ჩახუნაშვილი.

ექიმები განსაკუთრებული სიფრთხილისკენ ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებსა და ორსულებს მოუწოდებენ. ვირუსულ დაავადებათა პრევენცია სახელმწიფოსა და ექიმებთან ერთად არანაკლებ დამოკიდებულია თავად საზოგადოებაზე. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ ცოტა ხნის წინ ვირუსების მომრავლების პარალელურად სამედიცინო პერსონალის სრული მობილიზაცია გამოაცხადა. თავად მინისტრმა სერგეენკომ მედპერსონალს საკუთარი მანქანაც კი დაუთმო, რათა სასწრაფო გამოძახებებზე გასვლა არ შეფერხდეს და დროულად აღმოუჩინონ პაციენტებს დახმარება. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ მოეწყო კონფერენცია, წარმოდგენილ იქნა ანგარიშები, მოსახლეობისთვის გაიცა რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ სახელმწიფო სათანადო ყურადღებას უთმობს ვირუსების პრევენციას, რაშიც საზოგადოებაც აქტიურად უნდა ჩაერთოს.



ნეპოტიზმი - ნათესაური სოლიდარობა თუ დანაშაული

თამარ უმფრიანი

2015 წელს საქართველოში ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, 2014 წელს ქვეყანაში დასაქმებულთა დონემ 2013 წელთან შედარებით 2.2%-ით მოიმატა, რაც ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ნიშნულია. უმუშევრობის დონე შემცირებულია, როგორც სოფლად, ისე ქალაქად 22.1 და 5.4 პროცენტული მაჩვნებლით.

თუმცა ამ სასიამოვნო სტატისტიკური მონაცემების მიღმა ბოლო წლებში საჯარო სამსახურიდან ბუნდოვანი მიზეზებით გათავისუფლებული არაერთი მოქალაქეა. მათ შემდეგ თანამდებობაზე დანიშნული ახალი კანდიდატები კი, როგორც წესი, არ მალავენ ნათესაურ კავშირს „ქართული ოცნების“ დეპუტატებსა თუ მინისტრებთან და გვარწმუნებენ, რომ სამსახური საკუთარი კვლიფიკაციიდან გამომდინარე დამსახურებულად მიიღეს.

საჯარო დაწესებულებებში ნეპოტიზმის გახშირებულ ფაქტებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ინიციატივით ეხმაურება. მათ მოამზადეს კანონპროექტი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში ახალი 3321 მუხლის დამატებას ითვალისწინებს. აღნიშნული მუხლი საჯარო სამსახურში კონკურსის წესის დარღვევის გამოაშკარავებასა და დასჯას გულისხმობს. მსგავსი პრეცენდენტის გამოაშკარავების შემთხვევაში პირი, რომელიც კონკურსის წესებს გამიზნულად დაარღვევს და რომელიმე კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ გამიზნულად იმოქმედებს, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე და საქმიანობის ჩამორთმევის უფლებით სამ წლამდე.

„საჯარო სამსახურში საკადრო პოლიტიკა ხშირად გამჭვირვალობის პრინციპების დარღვევით წარიმართება. დიდწილად, ამას სამართლებრივი ხვრელები და არასათანადო რეგულირება უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, ნეპოტიზმსა და პატრონაჟს ახალისებს. ჩვენი მიზანი კი მსგავსი შემთხვევების სამართლებრივი აღკვეთაა“,- ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

ნეპოტიზმის გამოვილენებად შეგვიძლია განვიხილოთ საგარეჯოში 2013 წელს დაფიქსირებული შემთხვევა. „სათნოების სახლის“ დირექტორი ილია კუჭუაშვილი სამსახურიდან ოთხ წლიანი მუშაობის შემდეგ პირველ თებერვალს გაათავისუფლეს. იმავე დღეს კი, თანამდებობაზე საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის თინა ხიდაშელის ნათესავი, მისი მეუღლის დავით უსუფაშვილის ბიძა დავით ოტიაშვილი დაინიშნა. ილია კუჭუაშვილის თქმით, მას ოთხი თვის განმავლობაში თხოვდნენ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერას, ბოლოს კი, გათავისუფლების ბრძანება მიიღო.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78–ე, 79–ე და 99–ე მუხლების საფუძველზე, ვბრძანებ: გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ააიპ „სათნოების სახლის“ დირექტორი ილია კუჭუაშვილი მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან. ბრძანება ძალაშია 31 იანვრიდან. ბრძანება, გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“, - ნათქვამია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეგლის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში.

განცხადებაში, რომელიც ილია კუჭუაშვილს სამსახურიდან გათავისუფლებას აუწყებდა, ნახსენები იყო საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78, 79 და 99 მუხლები, რომლებიც უფლებამოსილების გადაჭარბებასა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს ითვალისწინებს. თუმცა კუჭუაშვილის საქმეში გათავისუფლებამდე არც ერთი გაფრთხილება უფლებამოსილების არაკვალიფიციურად შესრულებისთვის არ ფიქსირდება.

საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით ოტიაშვილის ფიგურა. „სათნოების სახლის“ დირექტორობამდე ის უმუშევარი იყო. საკუთარ ნათესაურ კავშირს თინა ხიდაშელთან ადასტურებს, მაგრამ სამსახურის თაობაზე ნეპოტიზმის არსებობას არ ეთანხმება. მისი თქმით, ვაკანტური ადგილის შესახებ სოფელში თავად გაიგო, განცხადების დაწერის შემდეგ კი, სამსახურში აიყვანეს.

შესაძლოა, აღნიშნული შემთხვევა მართლაც არ შეიცავს ნეპოტიზმის ნიშნებს და მსგავსი დამთხვევა საქართველოში „ყველა ყველას ნათესავია“-ს მივაწეროთ. თუმცა, ფაქტია, რომ 2013 წლის 1 თებერვალს სამსახურიდან გათავისუფლებული ილია კუჭუაშვილის ნაცვლად ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადების გარეშე იმავე დღეს, დაინიშნა მაჟორიტარის ნათესავი დავით ოტიაშვილი.

2012 წლიდან მოყოლებული მსგავსი შემთხვევების ეპიცენტრში ხშირად ხვდება „ქართული ოცნების“ დეპუტატი და ფოთის მაჟორიტარი ეკა ბესელია. მას შემდეგ, რაც 2012 წლის ნოემბერში ფოთის პოლიციის უფროსმა პოსტი დატოვა, თანამდებობაზე ბესელიას ნათესავი ზურაბ ალასანია დაინიშნა. ეკა ბესელია ინტერვიუებში ღიად აცხადებდა, რომ მან რეკომენდაცია ნათესავს მართლაც გაუწია, ნეპოტიზმის ფაქტს კი ტრადიციულად უარყოფდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს„ კანონპროექტის ამუშავების შემთხვევაში, საინტერესოა, რამდენად შეძლებს სისხლის სამართლის კოდექსში ჩაწერილი ცვლილება ქართველების ცნობიერებაში გამჯდარ დაუწერელ კანონებს. თუმცა ყველა დეგრადირებული ჩვევის შეცვლა ინიციატივით იწყება. მანამდე კი, ორგანიზაცია ყველა იმ ადამიანს, რომელიც თვლის, რომ სამსახურიდან ნეპოტიზმის გამო გაათავისუფლეს სამართლიანობის აღდგენისა და თანასწორობის დამკვიდრებისთვის თანამშრომლობას სთავაზობს.

ევროსაბჭო სოციალური უფლებების დაცვას საქართველოში უარყოფითად აფასებს

2015 წელს საქართველოში ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, 2014 წელს ქვეყანაში დასაქმებულთა დონემ 2013 წელთან შედარებით 2.2%-ით მოიმატა, რაც ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ნიშნულია. უმუშევრობის დონე შემცირებულია, როგორც სოფლად, ისე ქალაქად 22.1 და 5.4 პროცენტული მაჩვნებლით.

თუმცა ამ სასიამოვნო სტატისტიკური მონაცემების მიღმა ბოლო წლებში საჯარო სამსახურიდან ბუნდოვანი მიზეზებით გათავისუფლებული არაერთი მოქალაქეა. მათ შემდეგ თანამდებობაზე დანიშნული ახალი კანდიდატები კი, როგორც წესი, არ მალავენ ნათესაურ კავშირს „ქართული ოცნების“ დეპუტატებსა თუ მინისტრებთან და გვარწმუნებენ, რომ სამსახური საკუთარი კვლიფიკაციიდან გამომდინარე დამსახურებულად მიიღეს.

საჯარო დაწესებულებებში ნეპოტიზმის გახშირებულ ფაქტებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ინიციატივით ეხმაურება. მათ მოამზადეს კანონპროექტი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში ახალი 3321 მუხლის დამატებას ითვალისწინებს. აღნიშნული მუხლი საჯარო სამსახურში კონკურსის წესის დარღვევის გამოაშკარავებასა და დასჯას გულისხმობს. მსგავსი პრეცენდენტის გამოაშკარავების შემთხვევაში პირი, რომელიც კონკურსის წესებს გამიზნულად დაარღვევს და რომელიმე კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ გამიზნულად იმოქმედებს, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე და საქმიანობის ჩამორთმევის უფლებით სამ წლამდე.

„საჯარო სამსახურში საკადრო პოლიტიკა ხშირად გამჭვირვალობის პრინციპების დარღვევით წარიმართება. დიდწილად, ამას სამართლებრივი ხვრელები და არასათანადო რეგულირება უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, ნეპოტიზმსა და პატრონაჟს ახალისებს. ჩვენი მიზანი კი მსგავსი შემთხვევების სამართლებრივი აღკვეთაა“,- ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

ნეპოტიზმის გამოვილენებად შეგვიძლია განვიხილოთ საგარეჯოში 2013 წელს დაფიქსირებული შემთხვევა. „სათნოების სახლის“ დირექტორი ილია კუჭუაშვილი სამსახურიდან ოთხ წლიანი მუშაობის შემდეგ პირველ თებერვალს გაათავისუფლეს. იმავე დღეს კი, თანამდებობაზე საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის თინა ხიდაშელის ნათესავი, მისი მეუღლის დავით უსუფაშვილის ბიძა დავით ოტიაშვილი დაინიშნა. ილია კუჭუაშვილის თქმით, მას ოთხი თვის განმავლობაში თხოვდნენ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერას, ბოლოს კი, გათავისუფლების ბრძანება მიიღო.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78–ე, 79–ე და 99–ე მუხლების საფუძველზე, ვბრძანებ: გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ააიპ „სათნოების სახლის“ დირექტორი ილია კუჭუაშვილი მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან. ბრძანება ძალაშია 31 იანვრიდან. ბრძანება, გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“, - ნათქვამია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეგლის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში.

განცხადებაში, რომელიც ილია კუჭუაშვილს სამსახურიდან გათავისუფლებას აუწყებდა, ნახსენები იყო საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78, 79 და 99 მუხლები, რომლებიც უფლებამოსილების გადაჭარბებასა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს ითვალისწინებს. თუმცა კუჭუაშვილის საქმეში გათავისუფლებამდე არც ერთი გაფრთხილება უფლებამოსილების არაკვალიფიციურად შესრულებისთვის არ ფიქსირდება.

საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით ოტიაშვილის ფიგურა. „სათნოების სახლის“ დირექტორობამდე ის უმუშევარი იყო. საკუთარ ნათესაურ კავშირს თინა ხიდაშელთან ადასტურებს, მაგრამ სამსახურის თაობაზე ნეპოტიზმის არსებობას არ ეთანხმება. მისი თქმით, ვაკანტური ადგილის შესახებ სოფელში თავად გაიგო, განცხადების დაწერის შემდეგ კი, სამსახურში აიყვანეს.

შესაძლოა, აღნიშნული შემთხვევა მართლაც არ შეიცავს ნეპოტიზმის ნიშნებს და მსგავსი დამთხვევა საქართველოში „ყველა ყველას ნათესავია“-ს მივაწეროთ. თუმცა, ფაქტია, რომ 2013 წლის 1 თებერვალს სამსახურიდან გათავისუფლებული ილია კუჭუაშვილის ნაცვლად ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადების გარეშე იმავე დღეს, დაინიშნა მაჟორიტარის ნათესავი დავით ოტიაშვილი.

2012 წლიდან მოყოლებული მსგავსი შემთხვევების ეპიცენტრში ხშირად ხვდება „ქართული ოცნების“ დეპუტატი და ფოთის მაჟორიტარი ეკა ბესელია. მას შემდეგ, რაც 2012 წლის ნოემბერში ფოთის პოლიციის უფროსმა პოსტი დატოვა, თანამდებობაზე ბესელიას ნათესავი ზურაბ ალასანია დაინიშნა. ეკა ბესელია ინტერვიუებში ღიად აცხადებდა, რომ მან რეკომენდაცია ნათესავს მართლაც გაუწია, ნეპოტიზმის ფაქტს კი ტრადიციულად უარყოფდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს„ კანონპროექტის ამუშავების შემთხვევაში, საინტერესოა, რამდენად შეძლებს სისხლის სამართლის კოდექსში ჩაწერილი ცვლილება ქართველების ცნობიერებაში გამჯდარ დაუწერელ კანონებს. თუმცა ყველა დეგრადირებული ჩვევის შეცვლა ინიციატივით იწყება. მანამდე კი, ორგანიზაცია ყველა იმ ადამიანს, რომელიც თვლის, რომ სამსახურიდან ნეპოტიზმის გამო გაათავისუფლეს სამართლიანობის აღდგენისა და თანასწორობის დამკვიდრებისთვის თანამშრომლობას სთავაზობს.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სახელმწიფო კონსერვატორია აქტუალური მუსიკის ფესტივალს მასპინძლობს

ნინი მაჭავარიანი

Close Encounters - აქტუალური მუსიკის ფესტივალი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 29 იანვარს გაიხსნა და 31 იანვრამდე გაგრძელდა. მონაწილეობას სხვადასხვა თაობის, ტრადიციის, განსხვავებული ესთეტიკისა და სტილის ქართველი და შვეიცარიელი მუსიკოსები იღებდნენ. ფესტივალის მთავარი მიზანი ევროპელი და ქართველი მუსიკოსების ერთობლივი მუშაობაა. შესაბამისად, საქართველოს ბევრი უცხოელი კომპოზიტორი ეწვია, რომლებმაც საკუთარი კომპოზიციები თავად შეასრულეს.

კლასიკური და ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში პირველად 2005 წელს, შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი პიანისტის თამრიკო კორძაიას და შვეიცარიელი კომპოზიტორის ფელიქს პროფოსის ინიციატივით ჩატარდა.

ქალბატონმა თამრიკომ „ობზერვერთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფესტივალის შექმნის იდეა 2005 წლამდე დაიბადა. იქიდან გამომდინარე, ბევრი მუსიკოსი მისი მოღვაწეობით, დაინტერესდა, ღონისძიების საქართველოში ჩატარება გადაწყვიტა. თუმცა პერიოდულად მას სოლო-კონცერტები თბილისში, გორსა და ბათუმშიც ჰქონდა.

„ფესტივალის სახელწოდება *Close Encounters* სტივენ სპილბერგის ფილმიდან არის ამოღებული. ხალხი ერთმანეთს მუსიკის მეშვეობით უგზავნის ამა თუ იმ ნიშანს, საუბრობენ მუსიკის ენით, რადგან ის ნებისმიერ სივრცეში ადამიანებთან დაახლოების ყველაზე კარგი საშუალებაა,“ - განაცხადა პიანისტმა.

აქტუალური მუსიკის შვეიცარულ - ქართული ფესტივალი *Close Encounters* წელს მეხუთედ იმართება და მისი პროგრამა წარმოდგენილი იქნება თბილისში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და შვეიცარიაში.

წელს ფესტივალის საკონცერტო დღეები ორ თემატურ ბლოკად დაიყოფა. ფესტივალის გახსნაზე ქართველი ავანგარდისტის მიხეილ შუღლიაშვილის კომპაქტ-დისკის პრეზენტაციაც შედგა, რომელიც უკვე გერმანიაში გამოვიდა. წელს კომპოზიტორის 75 წლისთავი აღინიშნება, ამასთან დაკავშირებით მუსიკოსები ყოველ კონცერტზე კომპოზიტორის დაწერილ ან მისთვის მიძღვნილ ნაწარმოებებს შეასრულებენ.

მსმენელი კვლავ შეხვდება კაპელერ-ცუთმორის დუეტს, გაეცნობა სედრიკ შპინდლერისა და ფრედერიკ ანტონი რობინსონის სენსორებით მართულ კომპოზიციებს. ფესტივალში ასევე მონაწილეობს ანჩისხატის მგალობელთა გუნდი, „შვეიცარიული მონდრიან - ანსაბლი იტალიიური რენესანსის მუსიკით“, ასევე ქართველი და შვეიცარიელი ექსპერიმენტალური დიჯეები.

როგორც თავად ორგანიზატორი იხსენებს, პირველი ფესტივალი, რომელიც 2005 წელს ჩატარ-და, გაცილებით ბევრად კონსერვატული იყო. წელს კი კონცერტს ქართული ხალხური და იტალიური რენესანსის მუსიკით ამთავრებენ. კორძაიას თქმით, მუსიკა ყოველმხრივ თანამედროვეა ძველი კომპოზიციების შტრიხებით და სწორედ ამაზე იქნება ყურადღება გამახვილებული.

„ფესტივალის ორგანიზების დროს ბევრ პრობლემას ვაწყდები, პირველ რიგში, ეს დაფინანსებას ეხება. ყველაფერი ბოლო წუთს კეთდება. ბოლო მომენტამდე დაძაბულები ვართ ხოლმე, რადგან არ ვიცით დაგვაფინანსებენ თუ არა. რაც მთავარია, მუსიკოსებს შორის პრობლემა არასდროს არ არის. როგორი რთული სიტუაციაც არ უნდა გვქონდეს, ერთობლივად ყოველთვის ვპოულობთ გამოსავალს. მუსიკოსები ყოველთვის სოლიდარობას გამოხატავენ“, - აღნიშნა კორძაიამ.

აღსანიშნავია, რომ *Close Encounters*-ში მონაწილეობის მიღება ყველა იმ მუსიკოსს შეუძლია, რომელიც ფესტივალის ფარგლებში გათვალისწინებულ რეპერტუარს ასრულებს.

ყოველი კონცერტი განსხვავებული და საინტერესოა მრავალფეროვანი მუსიკითა და საინტერესო მუსიკოსებით. შარშანდელი წელი გამორჩეული იყო, რადგან შესრულდა მიხეილ შუღლიაშვილის „დიდი ფანტაზია“, რომელიც მუსიკოსებმა დიდი გამოხმაურების გამო ციურიხშიც არაერთხელ შეასრულეს. რამდენიმე დღის წინ კი, გერმანულმა რადიომ ეს ნაწარმოები კლასიკური მუსიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ გამოაცხადა.

„საქართველოში ცოტა ხნის წინ ჩამოვედი და თქვენი ქვეყნით ძალიან მოვიხიბლე. ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ვარ, ვთანამშრომლობ ქართველ მუსიკოსებთან და ამ ფესტივალის მონაწილე ვარ. ეს ჩემთვის ახალია და ამიტომ გამიჭირდება ჯერ-ჯერობით იმის თქმა თუ რას ველოდები, მაგრამ დარწმუნებული ვარ ყველაფერი შესანიშნავად ჩაივლის“, - განაცხადა ფესტივალის მონაწილე კაროლინა ომანმა „ობზერვერთან“ საუბარში. ჰანა ვოლტერი კი იმედოვნებს, რომ კორძაიასთან ერთად საქართველოს ზაფხულში ისევ ესტუმრება.

ფესტივალის ორგანიზატორი თამრიკო კორძაია საქართველოში დაბრუნებას არ გეგმავს, თუმცა ყოველთვის ცდილობს ქართველ მუსიკოსებთან კონტაქტის შენარჩუნებას.

„მუსიკოსისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია არ დაკმაყოფილდეს იმით, რასაც დღეს მიაღწია. მუდმივად საკუთარ თავზე იმუშაოს, განვითარდეს და უფრო სრულყოფილი გახადოს ის, რასაც უკრავს. ხელოვანისთვის წარმატების ფორმულა არ არსებობს. წამატებას საბოლოო ჯამში წყვეტს ის, თუ რამდენად გაირჯება ადამიანი და ამ ყველაფერს მერე უკვე იღბალიც ავსებს, თუმცა მიმაჩნია, რომ იღბალსაც ადამიანი თავად ქმნის“, - ამბობს პიანისტი. ის მალე მასტერ კლასის ჩატარებასაც გეგმავს ახალგაზრდა მუსიკოსებს მოუწოდებს კამერულ მუსიკას უსმინონ. ფესტივალი, რომლის სპონსორი კულტურის სამინისტროა, დამსწრე საზოგადოებას სასიამოვნო საღამოები აჩვენა.

"შეყავი თავი გალერეაში" ახალი ინტერაქციული პროექტი

ნინი მაჭავარიანი

არქიტექტორ თეზი გაბუნიას ახალი ინტერაქციული პროექტის პრეზენტაცია 28 იანვარს, MUA-ს (MULTIVERSE ARCHITECTURE) ოფისში გაიმართა. პროექტმა სახელწოდებით, „შეყავი თავი გალერეაში" განსაკუთრებით დიდი ინტერესი ახალგაზრდებში გამოიწვია. ღონისძიებაზე, რომელზეც არქიტექტორის ნამუშევრების ექსპონატებიც იყო წარმოდგენილი, ნებისმიერ მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა, თავად გამხდარიყო სამუზეუმო დარბაზის ექსპონატი.

პროექტის კოორდინატორმა მარიამ ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ „ეს არის ინოვაციური პროექტი. როდესაც ხელოვნება აუდიტორიისგან განყენებულია, ის ქრება, ამ შემთვევაში კი, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს ხელოვნების ნაწილი, შეყოს თავი გალერეაში და თავად იყოს საგამოფენო ექსპონატი".

„შეყავი თავი გალერეაში" ცვილის ქანდაკების ერთგვარი იმიტაცია და მისი ტრანსპორტირება თავისუფლად შეიძლება.

თეზის მანამდე პირველი პერსონალური „ყალბი გამოფენაც" ჰქონდა, რაც ერთ-ერთი ოთახის ანალოგ მაკეტს, რეალური გალერეის იმიტაციას წარმოადგენდა. გამოფენილი სერია ორიენტირებული იყო აკადემიურ მხატვრობაზე, რომელიც გარდა სოციალურ ქსელებისა, ბათუმის თანამედროვე ხელოვნების ცენტრშიც იყო გამოფენილი.

„ობზერვერთან" ინტერვიუში არქიტექტორი ამბობს, რომ ამ პროექტის იდეა სრულიად სპონტანურად გაჩნდა. „შემთხვევით აღმოჩნდა ჩემი თავი ამ მაკეტის გალერეაში, ფოტოს გადაღების შემდეგ წარმოიშვა იდეა, რომ შემექმნა პროექტი სახელწოდებით „შეყავი თავი გალერეაში". ეს არის ინტერაქციული პროექტი და ემსახურება არტის პოპულარიზაციას", - აღნიშნა გაბუნიამ.

პროექტის თანაავტორი უჩა ურუშაძეა, მაკეტი კომპანია *Vector Modelling*-ის მიერ აა დამზადებული. პროექტში ასევე მონაწილეობდნენ, მარიამ ნადარეიშვილი, რომელსაც ეკუთვნის ტექსტი და ფოტოგრაფები: ანდრო ერაძე, ჭიპო პელიკანო, ანი ბერიძე და ნიკა მაისურაძე.

„მოხარული ვარ, რომ უამრავმა ადამიანმა შეყო თავი გალერეაში, 200-ზე მეტი ფოტო გადავიღეთ, ახლა კი ვამუშავებთ, სამუშაოს დასრულების შემდეგ სოციალურ ქსელში *Faceebook*-ზე, ჩემს ოფიციალურ გვერდზე დაიდება და მოინიშნება ყველა მონაწილე",- განაცხადა არქიტექტორმა.

გაბუნია უახლოეს მომავალში რამდენიმე ახალ პროექტზე იმუშავებს და საზღვარგარეთაც წარადგენს. თუმცა პროექტის ორგანიზატორის თქმით, მისთვის პრიორიტეტული საქართველოა. აღსანიშნავია, რომ პროექტს „შეყავი თავი გალერეაში" გამოხმაურება საზღვარგარეთიდანაც მოჰყვა, შეერთებულ შტატებში მდებარე ონლაინ *Art People Gallery*-იმ დიდი ინტერესი გამოიჩინა.

„ბევრ საინტერესო პროექტს ვგეგმავ, პერსონალურ გამოფენას და ამ მაკეტის გაგრძელებასაც, ოღონდ სხვა სახით, რასაც სიურპრიზად დავტოვებ. პროექტზე მუშაობა სათაურიდან გამომდინარე სახალისო იყო და იქნება. რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც გალერეის ექსპონატი ვერ გახდა, მათ ვპირდები, რომ გულს არ დავწყვეტ და სხვა რამეს შევთავაზებ", - აცხადებს თეზი.

თეზი გაბუნია 1987 წელს თბილისში დაიბადა. არქიტექტურას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა, რომლის დასრულების შემდეგ, 2001 წელს სამხატვრო სტუდია გახსნა და ასზე მეტი ნახატი შექმნა. 2015 წლიდან ის *CopyPaste*-ის წევრია. პროფესიით მხატვარ - ინჟინერი თავის სამუშაო მეთოდს ფალსიფიკაციას უწოდებს, მისი აზრით, ეს არის რეფლექსია თანამედროვე სამყაროს ძირითად მახასიათებლებზე - აბსოლუტურ ვირტუალიზაციაზე. თანამედროვე ვიზუალური ენის კვლევის შედეგად ხდება როგორც მედიუმების მოხელთება, ასევე, წარმოება, რაც ქმნის ახალი თაობის ხელოვნებას, რომელიც არა შემოქმედების, არამედ ქარხნული წარმოების შედეგია. წარმოების პროცესი სრულიად ინდუსტრიალიზირებულია და ის მცირე დროში დიდი რაოდენობით პროდუქციის წამოების საშუ-ალებას იძლევა. მოცემული კონ-ცეპტი ასევე აუქმებს არტისტს, როგორც ორიგინალურ შემოქმედს. აღსანიშნავია, რომ თეზი გაბუნიას პროდუქციის ერთ-ერთი მედიუმი ვირტუალური საგამოფენო სივრცის ენაა.



"გადაიღე საქართველოში" - თანამედროვე ქართული კინოინდუსტრიის სერიოზული ნაბიჯი მსოფლიო კინობაზარზე

ნინო სინსაძე

სამთავრობო გადაწყვეტილებით პროგრამას ,,აწარმოე საქართველოში'' ახალი კომპონენტი ,,გადაიღე საქართველოში'' დაემატა. პროექტის პრეზენტაცია პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 26 იანვარს, საგამოფენო ცენტრ ქარვასლაში წარადგინა. მას ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„ჩვენი ამოცანა უნდა იყოს მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი კინო-ინდუსტრიის განვითარებას. რაც შეიძლება ნაკლები ბიუროკრატიული დაბრკოლება უნდა შეხვდეს პროდიუსერებს, ჩვენი მიზანია მთელი სახელმწიფო აპარატი მოიმართოს იმგვარად, რომ კინოგადაღებას მაქსიმალურად კოორდინირებულად შეეწყოს ხელი და წავახალისოთ ნიჭიერი ადამიანები. მათ საკუთარი შესაძლებლობებისა და ნიჭის რეალიზაცია უნდა მოახდინონ, რათა ამით შეიტანონ წვლილი ქვეყნის განვითარებაში. ჩვენი ამოცანაა გავზარდოთ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი, ასევე შევქმათ ახალი სამუშაო ადგილები. სწორედ ასე მივაღწევთ ჩვენი ეკონომიკის და ჩვენი ქვეყნის განვითარებას", - განმარტა გიორგი კვირიკაშვილმა კინოინდუსტრიის წახალისების პრეზენტაციაზე.

პროექტის მიზანია საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მიმზიდველ გადასაღებ ცენტრად იქცეს. იგი კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კინოპროდუსერებს შესაძლებლობას აძლევს გადაიღონ ფილმი საქართველოში და გაწეული შესაბამისი კვალიფიციური ხარჯების დაახლოებით 25% უკან დაიბრუნონ. პრემიერი თვლის, რომ კინოინდუსტრიის განვითარების ამგვარ წახალისებას, ქვეყნისათვის უდიდესი ეკონომიკური ეფექტი ექნება.

,,გადაიღე საქართველოში'' ეგრეთწოდებული „რიბეით“, იგივე წახალისების, სისტემის დანერგვას გულისხმობს. დადგენილი მინიმალური ლიმიტი შეადგენს 300 000 ლარს დოკუმენტური ფილმის, რეალითი შოუს, მუსიკალური კლიპის და რეკლამის გადაღების შემთხვევაში. ხოლო 500 000 ლარს მხატვრული სრულმეტრაჟიანი, ანიმაციური, სატელევიზიო სერიალისა და მინისერიალის გადაღების შემთხვევაში.

სისტემა ორ ეტაპს მოიცავს, პირველი ეს არის, დადგენილი მინიმალური ლიმიტის მიხედვით საქართველოში გაწეული დანახარჯების 20%, რომელიც გადაღებების დასრულების შემდეგ ავტომატურად უბრუნდება მწარმოებელ კომპანიას. მეორე ეტაპი გულისხმობს ფილმის გამოსვლის შემდეგ, წინასწრ დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების საფუძველზე დანახარჯების 2-5%-მდე დაბრუნებას. კერძოდ, ფილმის გადაღებების პროცესში ადგილობრივი კადრების დასაქმების, კინოს მეშვეობით ქვეყნის პოპულარიზაციისა და სხვა პუნქტების გათვალისწინებით.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დისტრიბუციისა და ექსპორტის მიმართულების ხელმძღვანელი დავით ვაშაძე ,,ოზზერვერთან'' საუბარში ადასტურებს, რომ კინოცენტრი განაცხადების მისაღებად უკვე სრულ მზადყოფნაშია. ,,აპლიკაცია უკვე საიტზე დევს, შესაბამისად, დაინტერესების შემთხვევაში დღესვე შეუძლიათ განაცხადის შემოტანა. პარალელურად მიმდინარეობს გარკვეული კოსმეტიკური ხასიათის სამუშაოები, თუმცა ეს არ აისახება პროექტის მიმდინარეობაზე. ასევე, მზადდება ე.წ. გზამკვლევები უცხოური კომპანიებისათვის, სადაც მოცემული იქნება ყველა დეტალი პროექტისა და წახალისების სისტემით სარგებლობის შესახებ.''

ვაშაძემ ისიც აღნიშნა, რომ ,,გადაიღე საქართველოში'' განკუთვნილია, როგორც უცხოური, ისე ქართული პროექტების წასახალისებლად. მნიშვნელოვანია, რომ განაცხადის შეტანა შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს და აქედან გამომდინარე, უცხოური კომპანიები წახალისების სისტემით სარგებლობისათვის ან ქართველ პარტნიორებს უნდა დაუკავშირდნენ ან თავად დააფუძნონ კომპანია საქართველოში.

ეროვნული კინოცენტრის პროგნოზებით პროექტი ძალიან დიდ წარმატებას მოუტანს ქვეყანაში კინოინდუსტრიის განვითარებას. ,,უცხოელი კინომწარმოებლების დაინტერესებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში, განმსაზღვრელია „რიბეითის“ სისტემა. რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ამ სისტემის დანერგვაზე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა. წლების წინ მსგავსი სისტემის არსებობა ქვეყნისთვის ძალიან დიდი უპირატესობა იქნებოდა, თუმცა დღევანდელ მსოფლიო კინობაზარზე ქვეყანაში წახალისების არსებობა ერთგვარი ვალდებულებაა. ამის გარეშე არცერთი ამერიკული წარმოება ლოკაციისთვის ახალ ქვეყანას არ ირჩევს, რადგან უმეტეს შემთხვევაში კინომწარმოებლისთვის საინტერესო ლოკაციებზე მეტად მარტივი და მომგებიანი სისტემა ხდება. მოლოდინები პროექტის შედეგებზე ძალიან მაღალია. სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, წლის პირველი ნახევარი, სავარაუდოდ, სისტემის გაცნობისა და პოპულარიზაციის პერიოდი იქნება. ხოლო წლის მეორე ნახევრიდან და მომავალი წლიდან უკვე საკმაოდ დიდ შედეგებს და დაინტერესებას ველოდებით'', - განაცხადა ვაშაძემ.

პროექტის დანერგვით ,,გადაიღე საქართველოში'' თანამედროვე ქართულმა კინოინდუსტრიამ სერიოზული ნაბიჯი გადადგა მსოფლიო კინობაზარზე.

იგი მნიშვნელოვანია არამარტო დარგის განვითერების, არამედ ქვეყნის პოპულარიზაციის, ეკონომიკური და ტურისტული მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაზრდის თვალსაზრისითაც.

დაზოგილი ფინანსები თუ პირადი შური - რატომ დაითხოვეს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი?

ნინი ჯაფარიძე

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელობა რომ ერთ-ერთი ყველაზე დაუფასებელი პროფესიაა არაერთხელ დადასტურებულა. მაგალითად რამდენიმე დღის წინ მომხდარი სკანდალიც გამოდგება, რომელშიც ნაკრების მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე, ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი ფიგურირებენ.

სპორტის მინისტრმა მწვრთნელისთვის 120 ათასი ლარის ოდენობის ხელფასის გადახდაზე უარი განაცხადა და მისი განახევრების ინიციატივით გამოვიდა. ფედერაციის პრეზიდენტმა, ვიცე - პრეზიდენმა და აღმასკომის წევრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, მინისტრის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა, რითაც ავტომატურად დაუპირისპირდნენ კოლეგას - ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტანსა და მწვრთნელს კახა ცხადაძეს.

ჭუმბურიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც კი განაცხადა, რომ შედეგისთვის, რასაც ცხადაძემ მწვრთნელად მუშაობის პერიოდში მიაღწია, განახევრებული ხელფასიც მისაღები უნდა ყოფილიყო. მან ბონუსების სისტემაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თუ ცხადაძე კარგ შედეგს აჩვენებდა და ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მესამე ადგილზე მაინც გაიყვანდა, სოლიდურ თანხას მიიღებდა. ფედერაციის შეთავაზება საკმაოდ მომხიბვლელი ჩანდა, მაგრამ თუ საქართველოს საფეხბურთო ისტორიის უახლოეს წარსულს გადავხედავთ, მივხვდებით, რომ მსგავსი ფაქტი არასდროს მომხდარა. მესამე ადგილზე საქართველო მხოლოდ 1996 წლის ევროპის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გავიდა.

ხელფასის შემცირების საკითხი უარყოფითად შეაფასა აჩი არველაძემ. „ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი კონფიდენციალური საკითხები გაჟღერდა. ფეხბურთი სულ სხვა სფეროა. არაა პატარა ფულზე დამოკიდებული. რატომ აძლევენ გერმანიის მწვრთნელს 6 მილიონს, იქ რა უმუშევარი ხალხი არაა? ასეთი მიდგომა და ყურადღების ფულზე გამახვილება არასწორია. ეს კონტრაქტი ევროპელი მწვრთნელისთვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ვიღაცისთვის შეიძლება ბევრი იყოს. ყველაფერს თავისი ფასი აქვს. ფეხბურთს გაცილებით მეტი ენერგია და ჯანმრთელობა სჭირდება. ფეხბურთელს, რომელსაც ხუთას ლარს აძლევ ვერ მოთხოვ იმას, რასაც სხვას სთხოვ“, - აღნიშნა არველაძემ „ობზერვერთან“ საუბარში.

რატომ დადგა დღის წესრიგში ცხადაძისთვის ხელფასის შემცირების საკითხი, აიძულებენ თუ არა თავად მიიღოს გადაწყვეტილება და დაკავებული თანამდებობა დატოვოს-ეს თემები ბოლო პერიოდის ქართულ მედიაში განსაკუთრებით დომინირებდა. აქტიურად საუბრობენ ცხადაძესა და აღმასკომის წევრებს შორის არსებულ შესაძლო დაპირისპირებაზეც. “ობზერვერი” ფედერაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსაც დაუკავშირდა, თუმცა აღმასკომის წევრებმა კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს.

“ფედერაცის პრზიდენტმა უკვე გააჟღერა თავისი გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიცვლება. უახლოეს დღეებში დაიგეგმება შეხვედრა, სადაც გადაწყდება, თუ როგორ მოხდება ხელშეკრულების გაწყვეტა”, - განაცხადა საზოგადოებასთან ურთიერთბის წარმომადგენელმა, ოთო გიორგაძემ.

აჩი არველაძის აზრით, საქართველოში ყველაფერი დაუფასებელია, მით უფრო თუ საქმე დიდ პასუხისმგებლობას ეხება. მან ცხადაძე-კობიაშვილის დაპირისპირება გამორიცხა, თავად ცხადაძე კი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

“ჩემი აზრით, კახა ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი იყო და არ იმსახურებდა მოხსნას. საქმიდან გამომდინარე, მას დასაწუნი არაფერი ჰქონდა. მისი მუშაობით ყველა კმაყოფილი იყო. თვით ლევან კობიაშვილიც. არ ვიცი, შეიძლება რაღაც ისეთი პრობლემებია, რაც ჩემთვის გაუგებარია”, - აღნიშნა ფეხბურთელმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ნაკრებს არაერთი გამოჩენილი მწვრთნელი ჰყავდა. მათ შორის: ეკტორ რაულ კუპერი, ალენ ჟირესი და კლაუს ტოპმელერიც. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მესამე ადგილზე არასდროს გასულა, მწვრთნელების ხელფასები რამდენიმე ასეულ ათასს უტოლდებოდა. ცხადაძის წინამორბედი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას პერიოდში ნაკრებმა ისტორიული შედეგი აჩვენა და 2010 წელს არც ერთი თამაში არ წააგია.

2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ხორვატიასთან შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ 1:0 დასრულა. წარმატების მიუხედავად, არც ქეცბაიას 5 წლიანი მწვრთნელობის პერიოდი ყოფილა მშვიდი. მას არაერთი მოწინაალმდეგე გაუჩნდა. 2015 წელს კი იძულებული გახდა მწვრთნელის პოზიცია დაეტოვებინა. დღე დღეზე თანამდებობას ცხადაძეც დატოვებს. ამ პოზიციაზე მან დაახლოებით 1 წელი დაჰყო.

კულუარებში აქტიურად საუბრობენ, რომ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გია გეგუჩაძემ მალე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდება, თუმცა ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვერსიად რჩება.

airBaltic

RIGA - TBILISI	BT 722 5,7 RIX TBS	23:05	04:35 +1	735	03:30
TBILISI - RIGA	BT 723 1,6 TBS RIX	05:20	06:55	735	03:55

airBaltic flights from Tbilisi via Riga to Oslo, Helsinki, Copenhagen, Amsterdam, London, Milan, Paris, Berlin, Munich, Vilnius, Tallinn and Warsaw have minimum connection time 25-30 minutes in Riga airport

სუპერლიგის "ALL STAR" 2016 "რეგიონის" ნაკრებმა მოიგო

ვაკო ყიფიანი

2016 წლის საქართველოს სუპერლიგის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი სპორტის ახალ სასახლეში გაიმართა, რასაც 2 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. მატჩი ტრადიციულად, ჯარიმების გარეშე წარიმართა. “რეგიონისა” და “თბილისის” კლუბებისგან დაკომპლექტებულმა გუნდებმა მაყურებელს ნამდვილი სანახაობა შესთავაზეს. შეხვედრა რეგიონის გუნდის გამარჯვებით - 148:122 დასრულდა.

ქართული „ყველა ვარსკვლავის“ თამაშისთვის მონაწილეები სუპერლიგის ვებ-გვერდზე მიმდინარე გამოკითხვის შედეგად შეირჩა, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა შეარჩიეს. “რეგიონის” გუნდს კოტე ტუღუშიდარამაზგოგობერიშვილი უძღვებოდნენ, ხოლო „თბილისს“ - დავით უსტიაშვილი და ირაკლი ხოშტარია.

მატჩის ბომბარდირი “რეგიონის” გუნდის წევრი გიორგი ბარბაქაძე გახდა, რომელმაც 31 ქულა მოაგროვა და ტრადიციული MVP-ის ტიტული მოიგო. დიდ შესვენებაზე ბერამ მსმენელს სპეციალურად სუპერლიგის “ყველა ვარსკვლავის” მატჩისთვის შექმნილი მუსიკალური ნომერი შესთავაზა და კალათბურთისადმი საკუთარი მხარდაჭერა იმითაც გამოხატა, რომ ქომაგების წინაშე საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით წარსდგა. ბერას 23 ნომრიანი მაისური ეცვა, რომელიც თორნიკე შენგელიას ეკუთვნის.

შესვენებაზე მაყურებლებს ბატუტის გამოყენებით ლამაზი „ჩატენვების შოუ“ წარმოუდგინა აკრობატთა ჯგუფმა „ჰოპერსმა“ და „ME&MY”.

„ჩატენვების“ კონკურსში მონაწილეობა სამმა კალათბურთელმა მიიღო: დევიდ კაილსმა „რუსთავიდან“, მეთიუ გლოვერმა და გიორგი ბარბაქაძემ ,,სოხუმიდან“. ლეგიონერების შემდეგ ბარბაქაძის ჯერი დადგა, რომელმაც საკუთარი ილეთის შესასრულებლად ბერას უხმო. ბარბაქაძემ ბერასთან ერთად ხუთჯერ სცადა ბედი, მაგრამ ქართველმა მომღერალმა მას ასისტენტობა ვერ გაუწია. საბოლოოდ მან მარტომ შეასრულა ეფექტური ჩატენვა და კონკურსის გამარჯვებულიც გახდა.

75 წლის იუბილე მიულოცეს თბილისის ,,დინამოს’’ ვეტერან კალათბურთელს ამირან სხიერელს, რომელსაც თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და სხვა არაერთი პრიზი აქვს მოგებული. სხიერელი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულიცაა. თბილისის ,,დინამოს’’ ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა მას ფულადი ჯილდოც გადასცა.

საინტერესო გამოდგა სამქულიანების კონკურსიც, რომლის მონაწილენი მიმდინარე სუპერლიგის სტატისტიკური მონაცემებით შეირჩნენ. სამქულიანების საუკეთესო მსროლელების ხუთეულს გასული წლის „ოლ სტარში“ სნაიპერთა კონკურსის გამარჯვებული, აკაკი ლომოური დაემატა, რომელმაც საბოლოოდ წარმატებით დაიცვა ტიტული.

საბოლოოდ ერთმანეთს ლომოური და ბარბაქაძე დაუპირისპირდნენ. ფინალურ კონკურსში ბარბაქაძემ და ლომოურმა თანაბარი (16-16) ქულა დააგროვეს. დაინიშნა დამატებითი რაუნდი, სადაც ანგარიშით 19:16 - გამარჯვება ლომოურს დარჩა.

გიორგი ბარბაქაძემ ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა. „ყველაფერი კარგად იყო დაგეგმილი და ვეცადეთ მოთამაშეებს მაქსიმუმი გაგვეკეთებინა სანახაობის კუთხით.

რაც შეეხება მოგებულ ტიტულებს, ჩემს პრიზებს MVP-ის ტიტული აკლდა და მიხარია, რომ ესეც დავიმსახურე. ამასთან ერთად, ჩატენვების კონკურსიც მოვიგე“, - აღნიშნა კალათბურთელმა.

მაყურებელი კმაყოფილი დარჩა. გუნდებმა 270 ქულა ჩააგდეს და ბევრი ლამაზი მომენტიც აჩუქეს სპორტის განახლებულ სასახლეში მისულ გულშემატკივარს. იმედია, მომდევნო „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი უფრო დახვეწილი და თვალსასეირო იქნება.

სპორტული სიახლეები

კალათბურთი

ზაზა ფაჩულიას ,,დალას მავერიკსი’’ ,,ბრუკლინ ნეთსს’’ შეხვდა და 91:79 დაამარცხა. ორი მატჩის გამოტოვების შემდეგ, მოედანს დაუბრუნდა ჩვენებური ცენტრი ფაჩულია. მის ანგარიშზე მორიგი ორმაგი დუბლია: 16 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი. 10-დან 6 ჩაგდებული ბურთი(60%). ზაზა მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მნიშვნელოვანი თამაში ჩაატარა ზაზას თანაგუნდელმა ჩენდლერ პარსონსმაც. მისი მონაგარია 19 ქულა, 10 მოხსნა და 3 პასი. „ბრუკლინელთაგან“ კი ბრუკ ლოპესი გამოირჩა, 28 ქულით და 12 მოხსნით. აქვე შეგახსენებთ, ”დალას მავერიკსი” დასავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა. გუნდის ანგარიშზე 27 მოგება და 22 მარცხია. ტეხასელები შემდეგ შეხვედრას ”ფინიქს სანსის” წინააღმდეგ საკუთარ კედლებში გამართავენ.

ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საუკეთესოები 6 კატეგორიაში გამოავლინა.

საუკეთესო მსაჯი

გიორგი ვადაჭკორია;

საუკეთესო მწვრთნელი

გია გეგუჩაძე;

საუკეთესო ქალი ფეხბურთელი

გულნარა გაბელია;

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი

ოთარ კიტეიშვილი;

ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

ალექსანდრე იაშვილი;

საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი

ჯაბა კანკავა.

* * * * *

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოლაპარაკებები დაასრულა და ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩების გრაფიკი შეათანხმა. 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპამდე ფედერაციამ სამი ამხანაგური შეხვედრა დაგეგმა. 29 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში ყაზახეთს შეხვდება. მაისის ბოლოს ჩვენი გუნდი ავსტრიაში გაემგზავრება შეკრებაზე, სადაც 28 მაისს ევროპის ჩემპიონატის მონაწილე სლოვაკეთს გაეჯიბრება. ევრო-2016-ის კიდევ ერთ მონაწილეს, რუმინეთის ნაკრებს კი, ეროვნული გუნდი 3 ივნისს ბუქარესტში ეთამაშება.

* * * * *

ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რის საფუძველზეც გადაწყდა, რომ გია გეგუჩაძე საქართველოს 21 წლამდელთა ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, როგორც სფფ-ის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა აღმასკომზე განაცხადა, კახა ცხადაძე ეროვნული ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება. თუმცა ჯერჯერობით უცნობია თუ ვინ ჩაიბარებს ამ პოსტს.

* * * * *

თბილისის “დინამოს” ახალი თავკაცი ჰყავს. 53 წლის იურაი იარაბეკმა, რომელიც ტრნავის “სპარტაკის” მთავარი მწვრთნელი იყო, გია გეგუჩაძე შეცვალა.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

Managing Director: Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

Chief Editor: Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

Subscription & Advertising: sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.
0179, Tbilisi, Georgia
E: info@observer.com.ge
T: +995 557 68 36 53

ISTI FOTINTI

სავაჭრო & გასართობი ქალაქი

გართობის • დასვენების
შოპინგის
ქალაქი

10:00 - 22:00

eastpointtbilisi

16 333

www.eastpoint.ge